ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 9 – 10 აპრილი, 2016 №84 (7010) ფასი: 50 თეთრი

ევროპა ძველისძველი მეტოქეების ჯახისა და რურის დერბის მოლოდინშია

გვ.9

სტატისტიკა, ფსონები

09.04	სოსიედადი-ბარსელონა	5.5	4.33	1.55
09.04	შტუტგარტი-ბაიერნი	6.5	4.75	1.44
09.04	მილანი-იუვენტუსი	3.8	3.1	2.1
09.04	გენგამი-პსჟ	3.4	3.3	2.15
10.04	სანდერლენდი-ლესტერი	3.5	3.25	2.15
10.04	ლივერპული-სტოკი	1.6	3.75	6.0
10.04	ტოტენჰემი-მანჩესტერი	1.95	3.5	3.8
10.04	ვალენსია-სევილია	2.4	3.5	2.8
10.04	შალკე-დორტმუნდი	4.33	4.0	1.73
10.04	კიოლნი-ლევერკუზენი	3.2	3.3	2.25
10.04	ტორინო-ატალანტა	1.91	3.3	4.33
10.04	პალერმო-ლაციო	3.3	3.3	2.2
10.04	ნიცა-რენი	2.3	3.3	3.1
10.04	მარსელი-ბორდო	1.85	3.5	4.33

ჯასო ბარნოვამ შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა

გვ.11

ეუნაღისტეს ნოეებში ვოცელდება ხმები, ომ თითქოს ამ ჩანანეს გაეცნო „ოუსთავი ჯ-ის" ზოგიეთი თანამშომეი, მაგალითად, ნანეჯა ეოოეოლიანი. მოვითხოვ, თათია სამხახაძემ, ნანეჯა ეოოეოლიანმა ასევე ნებისმიეომ პიომ, ომელესაც თითქოს აქვს ალნიშნეი ჩანანეი ან იცის მისი შინაასის შესახებ, საჯაოოდ განაცხადოს ამის თობაზე.



შალვა რამიშვილი პროკურატურამ დაკითხა

„ვასილ ლელუაშვილის დავალებით 2012 წლის 5 მაისს სასტუმროში ფარული გადამღები დაამონტაჟეს"

გვ.2

პროკურატურამ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონოდ მოპოვების ფაქტზე 5 ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ამ არჩევნებში ივანიშვილზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული"

მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნება" კვლევის შედეგებმა შოკში ჩააგდო"

„აჭარას უკვე ოპოზიცია აკონტროლებს"

გვ.3

გვ.5

აფხაზეთის პარლამენტი პრემიერის გადასაყენებლად ემზადება

თვითმმართველობის არჩევნებმა ხაჯიმბას პოზიციები გაუმყარა

ISSN 1987-9385

თორნიკე შარაშენიძე: „ამ არჩევნებში ივანიშვილზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო არჩევნებზე პარტიების შანსებსა და ახალ შესაძლო კოალიციებზე საუბრობს.

თორნიკე შარაშენიძე:

– „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება ბევრ მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები ვერ მოიგოს და მეორე ტური დაინიშნოს. სწორედ ეს განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე.

– იგივე განცხადება ცოტა ხნის წინ დავით უსუფაშვილმაც გააკეთა, მაგრამ მისი განცხადება ისე არ აღქმულა, როგორც პრემიერის განცხადება. რაზე მიანიშნა ამით გიორგი კვირიკაშვილმა?

– როდესაც რეალობას საღად აფასებ, ეს ძალიან კარგია, მით უფრო, თუ ამას პოლიტიკოსი აკეთებს. პრემიერმა კვირიკაშვილმა რეალურად შეაფასა ვითარება „ქართული ოცნების“ რეიტინგიდან გამომდინარე და გულწრფელადაც გააკეთა განცხადება. მან არც თავი მოიტყუა და არც ჩვენ, საზოგადოება მოგვატყუა. მე ვფიქრობ, რომ რეგიონებში უფრო აქვთ შანსი და მოიგებენ, ვიდრე თბილისში, მაჟორიტარულ ოლქებს ვგულისხმობ.

– ვის რა შანსი აქვს ამ არჩევნებზე? არასაპარლამენტო ოპოზიციამ უკვე გააკეთა განცხადება, რომ ისინი საარჩევნო ბლოკის სახით გავლენ არჩევნებზე და რამდენიმე საპარლამენტო ოპოზიციური პარტიაც იქნება ამ ბლოკში წარმოდგენილი.

– დიდი მნიშვნელობა ექნება ფინანსებს. თუ სერიოზული ფინანსები არ ექნებათ, მათ გაუჭირდებათ მუშაობა და სერიოზული შედეგების დადება.

– უფრო მისაღები იქნებოდა, რომ პარტიები იდეოლოგიის, საგარეო ვექტორების მიმართულებით დაჯგუფებულიყვნენ, რომ ამომრჩევლისთვის უფრო ადვილი ყოფილიყო არჩევანი?

– რასაკვირველია, არა მხოლოდ ამომრჩევლისთვის იქნებოდა უფრო ადვილი არჩევანის გაკეთება, არამედ ეს უფრო რაციონალურია და ჩვენ უკვე უნდა გადავიდეთ იმ ეტაპზე, როდესაც პარტიები წინასაარჩევნო ბლოკს შექმნიან არა იმის მიხედვით, რომ როგორმე მოხვდნენ პარლამენტში, არამედ საერთო ღირებულებებისა და ფასეულობების ირგვლივ. ასე უფრო დალაგდებოდა სურათი და პოლიტიკური პროცესიც უფრო ევროპულად განვითარდებოდა.

რაც შეეხება სახელისუფლებო კოალიციის დაშლასა და პარტიების ცალ-ცალკე გამოსვლას არჩევნებზე, ეს სავსებით მისაღებია, რადგან ეს მოგვცემს სრულ სურათს, თუ ვის რა შესაძლებლობა აქვს და ვის რა მანდატს აძლევს ამომრჩეველი. ასეთი გარკვეულობა ყოველთვის კარგია.

– ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ეს საპარლამენტო არჩევნები იქნება უფრო დიდი შესაძლებლობა პრორუსული ძალებისთვის, რომ ისინი პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილები. რეალურად ასეა?

– პრორუსული განწყობების მქონე დეპუტატები ინდივიდუალურად დღესაც არიან პარლამენტში წარმოდგენილები. ეს ადამიანები თავიანთ განწყობებსა და სენტიმენტებს არც მალავენ, მაგრამ კოალიცია, როგორც ასეთი, აცხადებს, რომ პროდასავლური ძალაა.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ განსხვავებულ სურათს მივიღებთ. პარლამენტში მოხვდება ორი გაცხადებულად პრორუსული ძალა. ვგულისხმობ ბურჯანაძის პარტიას, რომელიც ბარიერს გადალახავს და „პატრიოტთა ალიანსს“, რომელიც ასევე გადალახავს ბარიერს.

– ეს ძალები შეძლებენ, პოლიტიკური დღის წესრიგი შეცვალონ ქვეყანაში?

– ეს დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე.

– ქვეყნის საგარეო კურსი ერთ პიროვნებაზეა დამოკიდებული?

– ვგულისხმობ იმას, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში და სამომავლოდ შექმნის თუ არა ის ამ ძალებთან კოალიციას. თუ არ შეიქმნება ასეთი კოალიცია, მაშინ არ იქნება ეს პრობლემა.

– ჩვენს დასავლელ პარტნიორებზე ეს გავლენას იქონიებს?

– რა თქმა უნდა, იქონიებს. თუ ისინი დაინახავენ, რომ პრორუსული განწყობები მომძლავრდა ქვეყანაში, ნელ-ნელა ხელს ჩაიქნევენ. ამიტომ ეს ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, რეალურად ეს არის ჩვენი არჩევანი.

თუ ვინმეს იმის იმედი აქვს, რომ ევროპელები 24 საათი იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე ევროკავშირში მიგვიღონ, ძალიან ცდება. მათ კარგი ცხოვრება აქვთ და, თუ ჩვენ არ გვინდა ეს კარგი ცხოვრება, ეს ჩვენი პრობლემაა. რაც შეეხება ნატოს, ნატოს უსაფრთხოება მოაქვს, მაგრამ ამ მიმართულებით, ამ ეტაპზე გაცილებით რთულად არის საქმე, რადგან ჩვენ ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს. ამერიკას უნდა ჩვენი მიღება ნატოში, გერმანიას – არა. დღეს ეს მოცემულობა გვაქვს.

„ვასილ ლელუაშვილის დავალებით 2012 წლის 5 მაისს სასტუმროში ფარული გადამღები დაამონტაჟეს“

პროკურატურამ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონოდ მოპოვების ფაქტზე 5 ყოფილი მაღალჩინოსანი დააკავა

პროკურატურამ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების უკანონოდ მოპოვების ფაქტზე 5 პირი დააკავა.

ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილნი არიან ის პირები, რომელთა მიერ განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 14 მარტს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების უკანონოდ მოპოვება და შენახვა.

კერძოდ, პროკურატურის მიერ დაკავებულნი არიან შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ვასილ ლელუაშვილი; ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რევაზ შიუკაშვილი; ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან ზაალიშვილი; შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილი უფროსი ირაკლი ყიფშიძე; შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილი უფროსი ზურაბ პავლიაშვილი.

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე გიგლა შიოშვილი მიემალა გამოძიებას, ხოლო კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მე-6 სამმართველოს ყოფილ უფროსს გივი კაციტაძეს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება, ვინაიდან მას დატოვებული აქვს საქართველოს საზღვრები და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2011-2012 წლებში, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებითა და დავალებით, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები მაკომპრომეტებელი მასალის შეგროვების მიზნით ახდენდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების წინასწარ შერჩევას, უკანონო თვალთვალსა და მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვებას.

გამოძიების ინფორმაციით, 2012 წლის მაისში ირაკლი ყიფშიძეს ჰქონდა ინფორმაცია, რომ 2012 წლის 5 მაისს ერთ-ერთი პოლიტიკოსი აპირებდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე სასტუმროში გაჩერებას. ამ ფაქტის შესახებ მან შეატყობინა ვასილ ლელუაშვილს, რომლის დავალებითაც პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ჩაწერის მიზნით დაიგეგმა სასტუმროს ნომერში ფარული გადამღები მოწყობილობის დამონტაჟება.

2012 წლის 5 მაისს ვასილ ლელუაშვილის და ირაკლი ყიფშიძის დავალებით ზურაბ პავლიაშვილმა და გიგლა შიოშვილმა ორგანიზება გაუწიეს სასტუმროს ნომერში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას, რითაც უკანონოდ მოიპოვეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ამ ფაქტიდან ერთ თვეში, 2012 წლის 5 ივნისს, ვასილ ლელუაშვილის დავალებით, ქ.თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში კუდის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს იმჟამინდელმა უფროსმა რევაზ შიუკაშვილმა და მისმა მოადგილე რომან ზაალიშვილმა ორგანიზება გაუწიეს ხსენებულ ბინაში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას, რა გზითაც უკანონოდ მოიპოვეს ოპოზიციურად განწყობილი კიდევ ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ჩატარებული გამოძიებით, ასევე გახსნილია ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებით განხორციელებული კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი, რომელიც ეხება 2013 წლის მაისში საჯარო სივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის უკანონოდ მოპოვებას.

კერძოდ, 2011 წლის დეკემბერში ქ.თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ვასილ ლელუაშვილის დავალებით კუდის მე-6 სამმართველოს უფროსმა გივი კაციტაძემ ორგანიზება გაუწია ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებასა და ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის მოპოვებას.

* * *

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები სასამართლოს განჩინების საფუძველზე იქნენ დაკავებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად განაგრძობს გამოძიებას პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების მოპოვება-გავრცელების ფაქტზე. გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით ეცნობება.

* * *

დაკავებულები დანაშაულს არ აღიარებენ.

ამის შესახებ მთავარ პროკურატურაში სპიკერ-პროკურორმა კოკა კაციტაძემ განაცხადა,

– გამოძიებას ჰყავს მოწმეები, რომლებიც იძლევიან ჩვენებებს. მოწმეები უშუალოდ იყვნენ შემხებლობაში როგორც მასალის მოპოვებასთან, ასევე მონტაჟთან, – აღნიშნა კოკა კაციტაძემ.

მისი თქმით, მოწმეთა პასუხისმგებლობის საკითხი ამ ეტაპზე არ დგას. რაც შეეხება დაკავებულ 5 პირს, კაციტაძის ინფორმაციით, მათ საცხოვრებელ სახლებში ჩატარდა ჩხრეკა, თუმცა, რისი ამოღება მოხდა ნივთმტკიცების სახით, პროკურორს არ დაუკონკრეტებია.

„ქართული ოცნება“: „ვაჟა ლელუაშვილი გარდაბნის არჩევნებში ჩართული არ ყოფილა“

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პროკურატურის მიერ დაკავებულ კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსან ვაჟა ლელუაშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

აღნიშნულთან დაკავშირებით პარტია განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ამტკიცებს, რომ ვაჟა ლელუაშვილი არავითარი ფორმით არ ყოფილა ჩართული გარდაბნის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

– დღეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან არაერთგზის გაჟღერდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს, პროკურატურის მიერ დაკავებული კუდ-ის დირექტორის ყოფილი მოადგილე ვაჟა ლელუაშვილი ჩართული იყო გარდაბნის გამგებლის 2016 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, – ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ გავრცელებულ ინფორმაციას კავშირი არ აქვს სინამდვილესთან.

– გარდაბნის არჩევნებში ცენტრალური საარჩევნო შტაბის მუშაობას წარმართავდა პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, ხოლო ადგილობრივ შტაბს ხელმძღვანელობდა ვანო მირიანაშვილი. ვაჟა ლელუაშვილი არავითარი ფორმით (!) არ ყოფილა ჩართული გარდაბნის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ქართული ოცნება“ მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ განცხადებებს, დაიცვან პოლიტიკური ეთიკის სტანდარტები და, ნებსით თუ უნებლიეთ, არ შეუწყონ ხელი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნება“ კვლევის შედეგებმა შოკში ჩააგდო“

„აჭარას უკვე ოპოზიცია აკონტროლებს“

შორენა მარსაგიშვილი

ჰა გამოკითხვამ ჩააგდო „ქართული ოცნება" შოკში, ჰატომ აღაპარპაკდა ხელისუფლება არჩევნებამდე 6 თვით ადრე მეოთხე ტურზე, ჰატომ ახის საშიში არჩევნების მეოთხე დღე? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

– არჩევნებამდე 6 თვით ადრე „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ მეორე ტური იქნება. მათი ასეთი წინათგრძნობა რითი არის განპირობებული?

– მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურებზე ბევრმა გააკეთა განცხადება, მათ შორის პრემიერმაც. ამაზე მეოცნებეები კანონიდან გამომდინარე ალაპარაკდნენ. ჩვენ მაჟორიტარულ სისტემაში 51%-იანი ბარიერი დავაწესეთ. „ქართულ ოცნებას“ ისე დაუვარდა რეიტინგი, რომ 51%-ს კი არა, 30%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავენ. ამიტომაც ალაპარაკდნენ მეორე ტურზე.

იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია მაღალ საფეხურზეა, 51%-იანი ბარიერის გადალახვა ყველას უჭირს. ჩემი, როგორც პოლიტიკოსის, ოცნება იყო, რომ პარტიული ხმები 20. 25. 30 პროცენტებად დანაწილდეს და ეს შედეგი – ხალხის რეალური განწყობა – აისახოს პარლამენტში.

– ჩვენთან როგორ არის დემოკრატიულობის საქმე?

– მაღალ დემოკრატიამდე ჯერ ბევრი გვიკლია. ხელისუფლების განცხადება სულ სხვა რამით არის განპირობებული. მათ ჩაატარეს გამოკითხვა და კარგად იციან, რას ფიქრობს ხალხი „ქართულ ოცნებაზე“. მათ რეიტინგული კვლევები ჩაატარეს და სავალალო შედეგი მიიღეს.

– თავად ამბობენ, რომ ამ კვლევის მიხედვით „ქართული ოცნება“ ყველაზე რეიტინგული პარტიაა.

– თქვენ რა გეგონათ, იტყოდნენ, რომ მათი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა? ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებენ. მათ რეიტინგზე მეორე ტურზე გაკეთებული განცხადებებიც მიუთითებს. თანაც მე დანამდვილებით ვიცი ამ კვლევების შედეგების შესახებ.

– თქვენ საიდან გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?

– ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა მითხრა, რომლის ვინაობასაც, ბუნებრივია, არ დავასახელებ. ჩვენი საუბარი რამდენიმე დღის წინ შედგა. მისი თქმით, ამ კვლევებმა „ქართული ოცნება“ შოკში ჩააგდო. დეპუტატი განმარტავს, რომ „ქართული ოცნება“ პარტიებს შორის პირველ ადგილზეც კი ვერ გავიდა.

– რომელი პარტია გავიდა პირველ ადგილზე?

– ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. იმის გამო, რომ პირველ ადგილზე ვერ გავიდნენ, „ოცნებაში“ ძალიან შეწუხდნენ. მათ გააცნობიერეს, რომ აღარ აქვთ ძველი მხარდაჭერა და მეორე ტურებზე დაიწყეს ლაპარაკი.

– ოპოზიციონერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე ტურზე საუბარი ომამდე კაპიტულაციის გამოცხადებაა და თავიანთ მხარდამჭერებს მარცხს აჩვევენ. ამაზე რას იტყვით?

– თუ ასეა, ურჩევნიათ, რომ საკუთარი თავი შეამზადონ მარცხისთვის. ყველაზე დიდი საფრთხე დღეს ხელისუფლებისთვის არჩევნების მეორე დღეა. თუ „ქართული ოცნება“ უმრავლესობას მოიპოვებს, ეს იქნება მოსახლეობის განწყობის არაადეკვატური ასახვა. ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ხალხის განწყობა ზუსტად ასახონ. ამისთვის საჭიროა, რომ არაფერზე წაუცდეთ ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე დღე არის გარდაუვალი. „ქართული ოცნება“ საპროტესტო აქციებს ვერ გაუძლებს.

– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?

– სახელისუფლებო გუნდში ვიყავი და კარგად ვიცი მათი შესაძლებლობები, ისინი ამ გამოწვევას ვერ გაუძლებენ და ურჩევნიათ, საქმე ქუჩის აქციებამდე არ მიიყვანონ. ნაციონალური მოძრაობა რუსთაველის გამზირზე 100.000-იან მიტინგებს უძლებდა. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იპოდრომიდან 300.000 კაცი დაიძრა პარლამენტის შენობისკენ. 2009 წელს 100 დღე გრძელდებოდა ხალხმრავალი აქციები. ყოფილმა ხელისუფლებამ ამას გაუძლო, „ქართული ოცნება“ იგივეს ვერ გადაიტანს. ამ საქმიდან რომ გამოძვრნენ, ამის უებარი წამალი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ შესაძლოა მოხდეს ის, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს ვიხილეთ.

– მაშინ ამ ბრძოლის ავანგარდში ნაციონალური მოძრაობა იყო. ახლაც ასე მოხდება? ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე ღიად აცხადებენ, რომ არჩევნების გაყალბებას არ შეეგუებიან.

– ახლა ასე აღარ იქნება. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ბრძოლის ავანგარდში იქნება ხალხი. ამ მოძრაობის მებაირახტრე იქნებიან სხვა პარტიები. საქართველოში მრავლად არის ღირსეული პარტიები, რომლებიც ხალხის ნდობით სარგებლობენ. რაც შეეხება ნაციონალებს, „ქართული ოცნებისა“ არ იყოს, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა რესურსიც შეზღუდულია.

– არც 2003 წელს ჰქონდათ მათ დიდი მხარდაჭერა, მაგრამ რევოლუცია მოაწყვეს.

– მაშინ ნაციონალური მოძრაობა მესამე ადგილზე გავიდა და ქვეყანაშიც სხვა სიტუაცია იყო. ახლა ნაციონალებს ნდობა აღარ აქვთ, ასე რომ, ხალხი მათ არ გაჰყვება. გამოჩნდებიან პარტიები, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ყველაფერს. ალბათ ნაციონალებიც მიიღებენ აქციებში მონაწილეობას. ამას ვერავის დაუშლი.

– თუ არჩევნები გაყალბებულად ჩაითვალა, თქვენც გამოხვალთ ქუჩაში?

– რა თქმა უნდა, გამოვალ. უსამართლობას არასდროს ვეგუებოდი და არც ახლა შევეგუები.

– ნაციონალების გვერდზე დადგომა არ იქნება თქვენთვის უხერხული?

– ნაციონალების გვერდზე რატომ უნდა დავდგე? მე ქართველი ხალხის გვერდზე დავდგები და არჩევნებში ყველა გადაცდომას გავაპროტესტებ. ისე, 2003 წელსაც ნაციონალების გვერდზე ვიდექი რუსთაველზე.

– ამას ხომ არ ნანობთ?

– ამას არ ვნანობ, იმიტომ, რომ მაშინ ყველანი უსამართლობას ებრძოდით. საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი. ხალხის გარეშე მთავრობის დაკომპლექტება არის შეუძლებელი. ვინც ამას აკეთებს, ის ძალიან მალე მარცხდება. ასე დამარცხდნენ აღორძინება, მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალური მოძრაობა.

– სახელისუფლებო გუნდში უცნაური პროცესები ხდება. ვიღაც მიდის, ვიღაც მოდის. პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. თქვენ ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ და უკან დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?

– ეს გამორიცხულია. შავი ასოებით თეთრ ქაღალდზე დაწერეთ, რომ მე, მურმან დუმბაძეს, არ მხიბლავს უმრავლესობაში ყოფნა. პოლიტიკაში რაც ვარ, უმრავლესობიდან არასოდეს მიბრძოლია. ყოველთვის ოპოზიციიდან ვიბრძვი, ვიმარჯვებ და შემდეგ გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურად ვღებულობ.

– გამოდის, რომ როგორც თამაზ მეჭიაურია ბუნებით მაჟორიტარი, ისე თქვენ ხართ ბუნებით ოპოზიციონერი.

– მეჩვენება, რომ ოპოზიციონერობა ჩემი სტილია. მირჩევნია, ღიად ვთქვა ჩემი სათქმელი, ვიდრე რაღაც პარტიულ ჩარჩოებში ჩავჯდე და გავჩუმდე.

– ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ უფრო იოლია, იყო ოპოზიციაში და აკრიტიკო, ვიდრე იყო ხელისუფლებაში და გაკრიტიკონ?

– ნორმალურ ქვეყანაში ოპოზიციონერობა ძალიან კომფორტულია. ჩვენისთანა ქვეყნებში, სადაც დემოკრატია შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, ოპოზიციონერობას ყველა ვერ შეძლებს. ვიღაცას ოპოზიციონერობა მარტო საუბარი და სხვისი კრიტიკა ჰგონია, სინამდვილეში პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება. ამის ნათელი მაგალითია აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის საკითხი.

ახლა, როცა ინტერვიუს გაძლევთ, აჭარის უმაღლეს საბჭოში ვიმყოფები, სადაც უმაღლესი საბჭოს სხდომა ჩაიშალა. „ქართული ოცნების“ წევრებს დედაქალაქიდან მიღებული მითითებით უნდოდათ უსკოს თავმჯდომარის გაყვანა. ეს იმ დროს, როცა ხელისუფლებამ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაკარგა. ისინი უმცირესობით შეეცადნენ მათთვის სასურველი საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ქვორუმიც კი ვერ მოაგროვეს.

როდესაც ოპოზიცია ამა თუ იმ ორგანოში უმრავლესობაში მოდის, ხელისუფლებამ ცოტა სხვანაირი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ისე არ გამოვა, უმცირესობამ უმრავლესობა მართოს. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. ახლა აჭარაში პასუხისმგებლობა ოპოზიციამ ავიღეთ საკუთარ თავზე. ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ოპოზიციასაც აკისრია პასუხისმგებლობა.

– ახალი უმრავლესობა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ხაბაძის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას აპირებდა. რა ხდება ამ მიმართულებით?

– თავმოყვარე პოლიტიკოსი ასეთ დროს თავად უნდა წავიდეს. არჩილ ხაბაძეს აქამდეც უნდა დაეწერა წასვლის შესახებ განცხადება. იგივეს ვიტყვი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთო ბერიძეზეც. მათთვის უკეთესი იქნება, თუ თავად წავლენ.

– თუ თავისი ნებით არ წავლენ, რა მოხდება?

– თავისი ნებით თუ არ წავლენ, მაშინ გაუშვებენ. უმრავლესობა აჭარის უმაღლეს საბჭოს ახლა ოპოზიციას აქვს. ასეთ დროს კეთილი ინებე და წადი. პოლიტიკა ითხოვს მსხვერპლს და როცა პოლიტიკაში ხარ, მსხვერპლის გაღებაც უნდა შეგეძლოს.

– რა ხდება ბათუმში ტაძრის გალავნის დანგრევასთან დაკავშირებით? გალავანი თურქულმა კომპანიამ დაანგრია და ამის გამო რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება ხომ არ შეინიშნება?

– მადლობა ღმერთს, აჭარაში ასეთი რამეები არ ხდება. ჩვენი რეგიონი ამ მხრივ არის მთელს მსოფლიოში უნიკალური. აქ მრავლად არის ოჯახები, რომლის ერთი წევრი მუსლიმია, ხოლო მეორე – ქრისტიანი.

ტაძრის გალავნის დანგრევა იყო ჩვეულებრივი კრიმინალური ფაქტი. ის კომპანია არც მეჩეთის გალავნის დანგრევას მოერიდებოდა. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლებას ამაზე სათანადო რეაგირება ექნება. აქ რელიგიური ნიშანი არაფერ შუაშია და ეს ფაქტი გამოძიებულ უნდა იქნას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

ბოლო ხანებში ხელისუფლება ვერც დანაშაულებზე ახდენს სათანადო რეაქციას. ვერ ვიტყვი, რომ კატასტროფული ვითარებაა, მაგრამ მეჩვენება, რომ კრიმინალმა ოდნავ მოიმატა.

– ამას იმიტომ ამბობთ, რომ ცოტა ხნის წინ თქვენი ძმის და მისი მეზობლების სახლები გაქურდეს?

– არა მარტო ამიტომ. იმედი მაქვს, ეს ფაქტებიც გამოძიებული იქნება. ამ ეტაპზე გვეუბნებიან, რომ მიმდინარეობს ძიება.

გიორგი კვირიკაშვილი: „ქვეყანას არ აქვს ფუფუნება, არჩევნებთან დაკავშირებული მრიცხველი დღეიდან ჩავრთოთ“

– ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, წინასწარ გამოცხადებული, რომ არჩევნები იქნება 8 ოქტომბერს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ დამატებით 7 და 8 მილიონი ლარი გადაიხადოს მარტო იმის გამო, რომ დღეიდან ჩავრთოთ ეს მრიცხველი.

გიორგი კვირიკაშვილი:

– მე მგონი არავისთვის არ უნდა იწვევდეს კითხვის ნიშნს, რატომ 8 ოქტომბერი, ამაზეც ვიმსჯელეთ იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში, შესაძლოა, გაიმართოს მეორე ტურები. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ოქტომბრის ბოლოსკენ გადავწევდით თარიღს, დაახლოებით ერთი თვე სჭირდება მეორე

ტურამდე მისვლას, შესაძლოა, ეს იყოს მაღალმთიანი რეგიონების შემთხვევაში პრობლემა საარჩევნო უბნებთან მისვლის კუთხით. ამიტომ ელემენტარული ტექნიკური არგუმენტების გამო, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს ყოფილიყო 8 ოქტომბერი. ასე რომ, ეს არის, რა თქმა უნდა, პოლიტიკური გადაწყვეტილება.

მთავრობის მეთაურის თქმით, მიმდინარეობს მსჯელობა ფინანსურ, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით და მასში ჩართულია ცესკო.

– რა თქმა უნდა, კონსულტაციების შედეგად მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას თუ როდის გამოვაქვეყნებთ მას, როდის ჩაირთვება ე.წ. მრიცხველი ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, არ შეიძლება ქვეყანამ 7 და 8 თვე წინასაარჩევნო კამპანიის რეჟიმში იცხოვროს.

ასე რომ, ეს არის ძალიან ჩვეულებრივი საკითხები და აქ არანაირი ველი დამატებითი მსჯელობისთვის არ არსებობს. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, წინასწარ გამოცხადებული, რომ არჩევნები იქნება 8 ოქტომბერს, ამ თარიღის შეცვლას არ ვაპირებთ.

სერიოზული მსჯელობისა და აწონ-დაწონის შედეგად იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული და დანარჩენი საკითხების შესახებ განცხადებები უკვე ადმინისტრაციების მხრიდან გაკეთდება, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული იურიდიული და ტექნიკური ფორმის შესახებ, და მინდა, რომ ამ საკითხს ამ კომენტარით წერტილი დავუსვათ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მამუკა გიორგაძე: „წინასაარჩევნოდ ბულვარული სპექტაკლის მონაწილენი გაგვხადეს“

„ტრაგიკულია, როცა წინასაარჩევნოდ სერიოზულ პოლიტიკურ თემებზე არ ვმსჯელობთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ხა ცვლილებებია იმით, ხომ ჯოალიცია „ქართული ოცნების" პარტიები ცალ-ცალკე იღებენ მონაწილეობას არჩევნებში? ამაზე სხვადასხვა აზრი გამოითქმის. სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, ხომ ამით, ფაქტობრივად, არაფერი იცვლება

მამუკა გიორგაძე:

– პარტიები, რომლებიც 2012 წელს ერთიანი ბლოკის სახით შევიდნენ პარლამენტში, ახლა ცალ-ცალკე იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. ამით, ფაქტობრივად, არაფერი იცვლება. ხდება მათი განფენა ისე, რომ თითოეულმა მათგანმა დაიკავოს მეტი ადგილი მედიასივრცესა და საზოგადოებაში. ამას თან ერთვის ახალი სპექტაკლები.

– სპექტაკლებში ამ პარტიების ერთმანეთთან კინკლაობას გულისხმობთ?

– დიახ. მაგალითად, პარტია „ქართული ოცნება“ იტყვის, მე ასეთი კარგი ვარ, მაგრამ სხვები მუშაობაში ხელს მიშლიდნენო. ამ კონტექსტში ისაუბრებენ ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტზე, ჩანაწერის დაკანონების აუცილებლობაზე ქალისა და მამაკაცის ერთობის შესახებ. გაიხსენებენ, რომ რესპუბლიკელები ამ ჩანაწერის გაკეთებას კონსტიტუციაში მხარს არ უჭერენ. „ოცნება“ ხალხს დაჰპირდება, რომ დამოუკიდებლად უფრო კარგ საქმეებს გააკეთებს. თავისი თავის ქებას შეუდგება რესპუბლიკური პარტიაც, რომელიც იტყვის, რომ პროგრესული და დასავლურია და ასე, დამოუკიდებლად უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. წინასაარჩევნოდ ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ვმონაწილეობთ ამ მდარე სპექტაკლში. ტრაგიკულია, რომ ამაზე ვკარგავთ დროს და არ ვმსჯელობთ სერიოზულ პოლიტიკურ თემებსა და ქვეყნის განვითარებაზე.

– პრობლემების განხილვა არ მიმდინარეობს?

– რასაკვირველია, არ მიმდინარეობს. ჩვენ უნდა ვმსჯელობდეთ საქართველოს ადგილზე გლობალურ სისტემაში, ღირებულებით სისტემაზე, ჩვენ გარშემო შექმნილ სიტუაციაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე, იმაზე, რომ ევროპულ ოჯახში თანასწორუფლებიან წევრად წარვდგეთ და არა – მაჩანჩალა ბოგანოდ. ამის მაგივრად ხელისუფლების ხელშეწყობით სისულელეებით ვართ დაკავებული.

– რეიტინგების თვალსაზრისითაც არაფერი შეიცვლება?

– იმის გამო, რომ კოალიციის პარტიები ცალ-ცალკე გადიან არჩევნებზე, ბევრი არაფერი იცვლება რეიტინგების თვალსაზრისითაც. „ოცნებაში“ კარგად იცოდნენ, რომ ახლა 2012 წელი აღარაა და საჭირო გახდა სხვა მიდგომები, მით უმეტეს, რომ გაძლიერდა პროტესტი რესპუბლიკური პარტიის მიმართ. რესპუბლიკელების ჩამოშორებით პარტია „ქართული ოცნების“ რეიტინგი ცოტათი მოიმატებს. საბოლოო ჯამში, სურათი იგივე რჩება – ნაცქოცური კოაბიტაციური პარლამენტი შეცვლილი ფორმატით და ძველი შინაარსით. რომელი პარტიაც დასჭირდებათ, დაიტოვებენ, რომელიც არა – ჩამოიშორებენ.

– „ოცნების“ გარდა, კოალიციის სხვა პარტიებს როგორი შანსები აქვთ?

– არავის არაფრის გარანტია არ გააჩნია. ამ პარტიებს შანსი არა აქვთ, რომ დამოუკიდებლად მოხვდნენ პარლამენტში. მათი მომავალი დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე. ვისაც ის დაეხმარება, წარმატებას მიაღწევს.

– არჩევნების დღეს იგეგმება რეფერენდუმის ჩატარება ქორწინების განმარტების თემაზე.

– ტრაგედიაა, როცა ხელისუფლებას ხალხთან მისასვლელად მხოლოდ ქორწინების თემა აქვს. ამ საკითხს „ქართული ოცნება“ კარგად გამოიყენებს წინასაარჩევნოდ. ამ განმარტების შეტანას კონსტიტუციაში გვპირდებოდნენ. ახლა რეფერენდუმზე გააქვთ. ბიძინა ივანიშვილს რომ მოენდომებინა, ამას მიაღწევდა კიდეც.

– ანუ არსებულ სიტუაციაშიც კი შეატანინებდა პარლამენტს ჩანაწერს კონსტიტუციაში?

– დიახ, რომ მოენდომებინა, მუშტი რომ დაებრახუნებინა, როგორც ეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინ გააკეთა, ახლაც ექნებოდა შედეგი. მაშინდელივით შეეძლო, ფულიც დაერიგებინა დეპუტატებისათვის. ეს გახდა სარეფერენდუმო საკითხი. მე მაინც ვფიქრობ, რომ რეფერენდუმი არ ჩატარდება.

– რატომ?

– იმიტომ რომ, მაშინ ხელისუფლება იძულებული გახდება, სხვა საკითხებზეც მოაწყოს რეფერენდუმები. რეფერენდუმების ჩატარებას მივესალმებოდი, მაგრამ, არა მგონია, ეს ხელისუფლების ინტერესში შედიოდეს. ქორწინების თემა კარგა ხანს იტრიალებს და „ოცნება“ ამით შეეცდება ქულების მიღებას. ბოლო დროს ტოკშოუების მთავარი თემებია ქორწინების განმარტება და პიკანტური კადრები. რაც უნდა მოერიდოს საზოგადოება ფარულ ჩანაწერებს, ბევრს თვალი მაინც გაურბის. მერე მიდის გარჩევა, რომელი თანამდებობის პირი ქალია ინტიმურ სცენებში და რომელი ცნობილი კაცი.

– კომპრომატების ომი გაგრძელდება?

– რა თქმა უნდა. ამით უნდა დააკავონ ადამიანების გული, თვალები, ყურები. ხალხს პრობლემები დაავიწყდება. არჩევნების წინ აუცილებელია ემოციური ფონის ზრდა.

– თუ ინტერპარტიული ჯგუფის პარტიები საარჩევნო საკითხებზე ხელისუფლებასთან ვერ მორიგდნენ, საპროტესტო აქციებს აპირებენ.

– ამ ჯგუფიდან ორიოდე სუბიექტს პატივს ვცემ. დანარჩენები არიან ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები. ეს სატელიტები ნაცმოძრაობის გარეშე არაფერს გააკეთებენ. არა მგონია, რომ ახლა ნაციონალური მოძრაობა ამ საკითხზე ქუჩის აქციებს გეგმავდეს. ასე რომ, უახლოეს ხანში ეს პროტესტი ვერ შედგება. ეს პარტიები ქუჩაში გამოჩნდებიან მაშინ, როცა ნაცმოძრაობა დააპირებს აქციების გამართვას.

9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიიდან 27 წელი სრულდება

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციიდან 27 წელი შესრულდა.

ორლესული ნიჩბებით და მომწამვლავი აირით შეიარაღებულმა საბჭოთა არმიამ, ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია სისხლში ჩაახშო, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაიჭრა, მოიწამლა და დასახიჩრდა.

ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს სსრ-ში 1988 წლისთვის უფრო გააქტიურდა. თბილისში გაფიცვებსა და მიტინგებს აწყობდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობასა და ქართველ ნაციონალისტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989წლის 18 მარტს ე. წ. „ლიხნის ასამბლეის“ ჩატარების შემდეგ, სადაც რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოსგან გამოყოფა და 1921-1931 წლების კავშირის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა. ამის საპასუხოდ ანტისაბჭოთა ჯგუფებმა რესპუბლიკის მასშტაბით არასანქციონირებული მიტინგების სერია მოაწყვეს. მათი მტკიცებით საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 4 აპრილს, როდესაც ათობით ათასი ქართველი შეიკრიბა მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის გამზირზე. მომიტინგეებმა, რომლებთაც ხელმძღვანელობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (მერაბ კოსტავა,ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები), მოაწყვეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწყეს, აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე დედაქალაქში და ვეღარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს.

6 აპრილიდან თბილისში იმყოფებოდა სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი კოჩეტოვი.

7 აპრილის დილას გაიმართა პოლიტბიუროს სხდომა ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით. გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების თბილისში გადასროლის შესახებ.

კოჩეტოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა და საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა შეიმუშავეს მიტინგის დარბევის ზოგადი გეგმა.

7 აპრილს, 21 საათზე პატიაშვილმა სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა თხოვა წესრიგის აღსადგენად.

8 აპრილს გაიმართა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა, სადაც როდიონოვმა და კოჩეტოვმა წევრებს მისცეს დაპირებები, რომ ოპერაცია ჩაივლიდა უსისხლოდ. როდიონოვმა ოპერაციაზე თანხმობა თავდაცვის მინისტრ იაზოვისგან მიიღო, ხოლო სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებით, ოპერაციისთვის გაერთიანდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები.

7 აპრილს დღისა და ღამის განმავლობაში თბილისში შევიდა: საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელთა დივიზიის მე-4 პოლკი, საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები პერმიდან და ვორონეჟიდან.

9 აპრილს, 11 საათზე გამოცხადდა კომენდანტის საათი თბილისში, მაგრამ ცნობა მოსახლეობას ადგილობრივი ტელევიზიით კომენდატის საათის მოქმედების შესახებ მიეწოდა მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა როდიონოვი. აქციის დარბევისას გამოყენებულ იქნა მომაკვდინებელი იარაღი: ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები.

9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა სია:

აზა ადამია, 22 წლის; ნათია ბაშალეიშვილი, 16 წლის; ეკა ბეჟანიშვილი, 16 წლის; ნატო გიორგაძე, 23 წლის; თამუნა დოლიძე, 28 წლის; თინა ენუქიძე, 70 წლის; ნინო თოიძე, 25 წლის; ზაირა კიკვიძე, 61 წლის; მანანა ლოლაძე, 33 წლის; თამარ მამულიშვილი, 50 წლის; ვენერა მეტრეველი; მამუკა ნოზაძე, 22 წლის; ნანა სამარგულიანი, 41 წლის; შალვა ქვასროლიაშვილი, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, 31 წლის; ელისო ჭიპაშვილი, 25 წლის; თამარ ჭოველიძე, 16 წლის; ნოდარ ჯანგირაშვილი, 40 წლის; მზია ჯინჭარაძე, 43 წლის; მანანა მელქაძე, 23 წლის; გია ქარსელაძე, 25 წლის.

კახა კალაძე: „არჩევნების მოგება მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია“

საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ენერგეტიკის მინიტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ კომენატრი გააკეთა და განაცხადა, რომ ყველა მინისტრი, რომელიც საარჩევნო კამპანიაში ჩართული იქნება, აგვისტოდან თანამდებობას დატოვებს.

კახა კალაძე:

– ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი პარტიაა, რომელსაც დიდი შანსი და შესაძლებლობა აქვს, არჩევნები ძალიან დიდი უპირატესობით მოიგოს.

აგვისტოში, ყველა იმ მინისტრს, რომლებიც ჩართული იქნებიან საარჩევნო კამპანიაში, თანამდებობების დატოვება მოგვიწევს. აქ მე სენსაციურს ვერაფერს ვხედავ. ეს ჩვეულებრივი პროცესია, პოლიტიკის თანმდევი. კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს შევიკავებ. გუნდში ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილება ყველასთავის ცნობილი გახდება.

ნიუსპრესი

აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყება პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას ეხმაურება

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყება პაატა ზაქარეიშვილის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც მინისტრმა ქართულ-აფხაზური არაოფიციალური შეხვედრების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

დე-ფაქტო უწყების განცხადებით, „ქართულ-აფხაზური“ და „ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატი ჟენევის პროცესია“.

– ყველა სხვა შეხვედრა, კონფერენცია, სემინარი, მრგვალი მაგიდა ატარებს მხოლოდ და მხოლოდ არაფორმალურ ხასიათს, ტარდება სამოქალაქო სექტორის ფარგლებში და არ ახდენს გავლენას სახელმწიფო სტრუქტურების გადაწყვეტილებებზე, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთის პარლამენტი პრემიერის გადასაყენებლად ემზადება

თვითმმართველობის არჩევნებმა ხაჯიმბას პოზიციები გაუმყარა

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს აჯამებენ. ახალი თვითმმართველობები აქ თებერვალში უნდა აერჩიათ, მაგრამ ხაუე ხაჯიმბას გადანყვეტილებით, არჩევნების თარიღმა ჰამდენიმე თვით გადაინია და ის 3 აპრილს გაიმართა.

ხაჯიმბას მიაჩნდა, რომ საკონსტიტუციო რეფორმების მიღებამდე არჩევნების ჩატარება უპრიანი არ იქნებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის ახალი ნიმუშების გაცემაც 2016 წლის იანვრიდან დაიწყო და ყველა ვერ მოასწრებდა მის აღებას.

მართალია, ახალი პასპორტების აღება ყველამ ვერ მოასწრო, მაგრამ არჩევნები მაინც ჩატარდა. ერთადერთი რაიონი, სადაც მოქალაქეები საარჩევნო უბანზე არ მივიდნენ, გალი იყო.

აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აქ არჩევნები მომავალ წელს ჩატარდება.

აფხაზეთის ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა სკანდალი მოაწყო იმასთან დაკავშირებით, რომ გალში მცხოვრებ ქართველებს აფხაზური პასპორტები უკანონოდ ჰქონდათ მიღებული.

მთავრობის გადაწყვეტილებით, გალის მოსახლეობის უმეტესობას პასპორტები გაუუქმეს. მათ ახალი საბუთის აღება ვერ მოასწრეს და ვერც არჩევნებზე მივიდნენ.

ხაჯიმბას გარემოცვა გალელებს დაპირდა, რომ სათანადო დოკუმენტებს ისინი უახლოეს მომავალში მიიღებენ, რის შემდეგაც ისინი უკვე უპრობლემოდ შეძლებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ამ „სიამოვნებისთვის“ მათ ერთი პირობის შესრულება მოუწევთ – საქართველოს მოქალაქეობაზე უნდა თქვან უარი.

როდის აირჩევენ გალელები თვითმმართველობის ორგანოებს, ჯერ უცნობია. თანაც ამ არჩევნებს შესაძლოა ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმაც მოუსწროს. თუმცა თვითმმართველობის არჩევნების შედეგებმა ვადამდელი არჩევნების მომხრეებს იმედები გაუცრუა. ისინი არჩევნებში სახელისუფლებო ძალებთან დამარცხდნენ.

თვითმმართველობის არჩევნებმა მთლიანობაში მშვიდ გარემოში ჩაიარა.

174 მანდატის მოსაპოვებლად 365 კანდიდატი იბრძოდა.

მანდატის მაძიებელთა შორის 53 სუსტი სქესის წარმომადგენელიც იყო. ბოლო დროს ქალები აფხაზეთში ძალიან გააქტიურდნენ.

ამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კანონში ცვლილებები შეიტანეს. აქამდე თუ ქალაქების და რაიონების ხელმძღვანელებად თვითმმართველობების არჩევნებში გამარჯვებულ პირებს ნიშნავდნენ, ახლა თვითმმართველობები თავად უყრიან კენჭს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებს.

აქამდე თვითმმართველობის ორგანოებს ქალაქის ან რაიონის მმართველისთვის უნდობლობის გამოცხადების უფლება არ ჰქონდათ. ამიერიდან ისინი ამ უფლებითაც არიან აღჭურვილი და საჭიროების შემთხვევაში არასასურველ პირს მიაიმპიჩმენტებენ.

აფხაზურ პოლიტიკაში, ეტყობა, ბევრი პირზე რძეშეუშრობი ახალგაზრდა გამოჩნდა. ამიტომაც პარლამენტმა ასაკობრივი ცენზი დააწესა. არჩევნებში კენჭისყრის უფლება მხოლოდ იმ პირებს შეუძლიათ, რომლებსაც 25 წელი შეუსრულდა.

– იმისათვის, რომ პოლიტიკაში იყო, ცოტა ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა გაგაჩნდეს, – აცხადებენ აფხაზი დეპუტატები.

აფხაზური მედიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო ხანებში ახალგაზრდობა აქტიურად ერევა პოლიტიკურ პროცესებში. მათ განსაკუთრებით თვითმმართველობები იზიდავთ.

აფხაზი ახალგაზრდები დიდ პოლიტიკაში სწორედ თვითმმართველობის ორგანოებიდან მიდიან.

მართალია, თითო სკამზე 2 კაცზე ცოტა მეტი მოდიოდა, მაგრამ ამომრჩეველს ამ არჩევნების მიმართ დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. რამდენიმე საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის სიმცირის გამო არჩევნები ჩაიშალა. ბევრგან კი მეორე ტური დანიშნეს. აქ უბნებზე განმეორებითი არჩევნები 2 თვეში ჩატარდება.

ყველაზე აქტიური ამომრჩეველი, ეტყობა, ოჩამჩირეში სახლობს. არჩევნებზე აქაური ამომრჩევლების 55,5% მივიდა. გუდაუთელები ოჩამჩირელებს ნახევარი პროცენტით ჩამორჩნენ აქტიურობაში.

თვითმმართველობები ძირითადად ახალი სახეებით დაკომპლექტდა.

სოხუმში, ეტყობა, ძველ სახეებსაც ნდობით უყურებენ. ქალაქის საკრებულოში 5 ძველი დეპუტატი მოხვდა. მათ შორის ერთ-ერთი კონსტანტინე პილია, აქამდე ორგანოს თავკაცი იყო.

არჩევნების შედეგებით ხელისუფლება კმაყოფილი დარჩა. ოპოზიციონერების დამარცხებამ ხელისუფლების მხარდამჭერებიც გაახარა. სოციალური ქსელებით დიდი ტაშფანდურიც კი იყო გამართული. როგორც ერთ-ერთი აფხაზური საიტი წერს, ისეთი ამბავი იყო ატეხილი, კაცი იფიქრებდა, მესამე მსოფლიო ომი მოიგესო.

არადა საზეიმოდ ნამდვილად ჰქონდა ხელისუფლებას საქმე. მათი ოპონენტები ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ და აცხადებენ, რომ ხაჯიმბას ხელისუფლებას რეიტინგი საერთოდ არ აქვს. ამ არჩევნებმა საპირისპირო დაამტკიცა.

ამის მიუხედავად, ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს და რეფერენდუმისთვის საგულდაგულოდ ემზადება. მათ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის ჩატარების განცხადებით მიმართეს.

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, რეფერენდუმი იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუკი საინიციატივო ჯგუფი ორი თვის განმავლობაში მინიმუმ 10 ათას ხელმოწერას შეაგროვებს.

* * *

სანამ ოპოზიციის ნაწილი რეფერენდუმისთვის ემზადება, პარლამენტში მთავრობის მეთაურის გასაიმპიჩმენტებელ დოკუმენტებს აგროვებენ.

აფხაზ კანონმდებლებს არტურ მიქვაბიასთვის უნდობლობის გამოსაცხადებელი ტექსტი 6 აპრილისთვის ჰქონდათ მზად. ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ მისთვის დამატებითი ინფორმაცია გახდა ცნობილი, რომელიც ასევე უნდო იყოს ტექსტში შეტანილი.

ამის გარდა, მთავრობის მეთაურმაც ითხოვა დრო დოკუმენტის გასაცნობად. პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადებაზე პარლამენტი უახლოეს მომავალში იმსჯელებს.

თენგიზ დიხამინჯია: „31 მარტისა და 9 აპრილის იდეები ადგილიდან უნდა დაიძრას“

გულიკო ბალაძე



– 9 აპრილს დაღუპულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გფარავდეთ ღმერთი! – ამ სიტყვებით ამცნო ზვიად გამსახურდიამ ქართველ ერსა და მთელ მსოფლიოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს.

მანამდე იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი კითხვით, გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

რეფერენდუმში ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ქართველი ერის ისტორიაში 9 აპრილი არის თარიღი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და მტერზე გამარჯვებისა.

1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას, 4 საათზე, საბჭოთა ჯარებმა იმჟამინდელი მთავრობის სასახლის წინ, დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარე მრავალათასიანი მიტინგი სასტიკად დაარბია, ორლესული ბარებით გაუსწორდა უიარაღო მოსახლეობას და მომწამლავი გაზით მოწამლა მრავალი ათასი ადამიანი. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი 21 ახალგაზრდა შეეწირა მტრის სისასტიკეს.

ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეთაურობით აღადგინა 200 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა. მაშინ წარმოთქვა ზვიად გამსახურდიამ ის ცნობილი სიტყვები.

ამით ზვიად გამსახურდიამ პატივი მიაგო საქართველოს სიყვარულით გულანთებული მებრძოლი და 9 აპრილს განგმირული გოგო-ბიჭების ხსოვნას. 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ზვიად გამსახურდიამ სამარადჟამოდ უკვდავყო მათი სახელები.

თუმცა, ზვიად გამსახურდიას შემდგომი ხელისუფლებები 9 აპრილს დღემდე არ აღიარებენ დამოუკიდებლობის დღედ. დღემდე სადავოა, როდის არის სწორი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, ძველი, 1918 წლის 26 მაისის მიხედვით, რომელიც რუსეთის ოკუპაციით, ფაქტობრივად, გაუქმდა, თუ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით, რაც კონსტიტუციაშია ასახული და რომლის საფუძველზეც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მსოფლიომ ცნო.

პოლიტიკური ელიტები ამ საკითხს წყვეტდნენ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობიდან გამომდინარე. მაშინ შევარდნაძემ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნით გამოსავალი იპოვა, რომ არ გაყოლოდა დამხობილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობრივ ხაზს.

შევარდნაძის სამართალმემკვიდრეობის გამგრძელებელ პოლიტიკურ სპექტრში ზვიად გამსახურდიას პიროვნების მიუღებლობა იმდენად დიდი იყო, რომ ხალხის აზრის მიუხედავად, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, 9 აპრილი დღესაც მხოლოდ გლოვის დღედაა აღიარებული.

ცოტა ხნის წინ, კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, ისეთი საქართველო უნდა ავაშენოთ, როგორიც უნდოდა ზვიად გამსახურდიას და 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილე საზოგადოებას 1991 წელს.

– კვირიკაშვილი იმის მიხედვით იქნება წარმატებული, თუ 31 მარტისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი იდეები დაიძვრება ადგილიდან, – აცხადებს თენგიზ დიხამინჯია.

– როგორ აღიქვით კვირიკაშვილის განცხადება 31 მარტის რეფერენდუმსა და მის დანიშნულებასთან დაკავშირებით, როცა განაცხადა, რომ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, როგორიც უნდოდა ზვიად გამსახურდიას 1991 წელს?

– კვირიკაშვილის პიროვნებას დადებით მომენტად და დადებით წერტილად აღვიქვამ მათ შორის, ვინც კი აქამდე გამოჩენილა, საერთოდ, „ოცნებაში“. თუმცა, თუ კვირიკაშვილი ქვეყნის ლიდერად არ გადაიქცა და პარტიულ ლიდერად იქცა, არაფერი გამოვა. როგორც კი კვირიკაშვილი პარტიულ ლიდერად გადაიქცევა, მომენტალურად თავისი გუნდის მძევალი გახდება.

– კვირიკაშვილმა დადებითად შეაფასა დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით ჩატარებული რეფერენდუმი. ამითაც განსხვავდება სხვებისაგან?

– რეფერენდუმის მნიშვნელობა არ არის აგიტაციის, პროპაგანდისა და პიარის თემა და მასალა. ეს არის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და მისი გარანტია. ეს არ უნდა გადაიქცეს ბუტაფორულ ცნებად, როგორც ამას წინა ხელისუფლება და „ოცნება“ აკეთებდა დღემდე, კვირიკაშვილიც იმავე პრობლემის წინაშე დგას.

– კვირიკაშვილმა წარმატებას რომ მიაღწიოს, რა უნდა გააკეთოს?

– კვირიკაშვილი იმის მიხედვით იქნება წარმატებული, თუ 31 მარტისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი იდეები დაიძვრება ადგილიდან.

– კერძოდ?

– საარჩევნო ადმინისტრაცია და საარჩევნო კანონი სავალალო მდგომარეობაშია. კონსტიტუციური კანონი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ, როგორც მოქალაქეობის სტატუსი, 31 მარტისა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი მონაპოვარია. კეთილი უნდა ინებონ და ამ კუთხით გადადგან შემხვედრი ნაბიჯები.

– რას გულისხმობთ? 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას?

– აღვნიშვნაზე არ ვსაუბრობ. არანაირი თარიღის ბუტაფორიებად გადაქცევა არ შეიძლება.

– 9 აპრილის, როგორც დამოუკიდებლობის დღის აღიარებაზე ვსაუბრობ.

– მე კონკრეტულ თემატიკაზე ვსაუბრობ. მაგალითად, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, საჭირო ღონისძიებების გატარებაზე დღევანდელ საარჩევნო კანონში. საარჩევნო ადმინისტრაცია კომუნისტების დროს რაც იყო, მგონი, იგივე დარჩა.

შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთები კონფედერაციას მოითხოვენ. კონსტიტუციაში არ არის მექანიზმები, როგორ და ვინ უნდა მიიღოს ეს კონსტიტუცია. არ ხდება გადატრიალების შედეგად მომხდარი დანაშაულობების ლიკვიდაცია სისტემური თვალსაზრისით.

31 მარტისა და 9 აპრილის მონაპოვარი ეფუძნება ამ იდეას და არა აბსტრაქტულს, მოჩვენებითს და პიარტექნოლოგიებს, რაც უნდა იქნას დაძლეული და გადალახული.

ეს თუ გაითავისა დღევანდელმა ხელმძღვანელმა კვირიკაშვილმა, იქნება წარმატებული, თუ არადა, წავა ისე წარუმატებლად, როგორც მისი წინამორბედები.

ირმა ნადირაშვილი ვალერი გელაშვილის წინააღმდეგ

პარტია ნაციონალური მოძრაობა დეპუტატ ვალერი გელაშვილს ზეგავლენით ვაჭრობასა და პრივილეგებით სარგებლობაში ადანაშაულებს.

პარტიის წარმომადგენლების თქმით, გელაშვილს თბილისში, დადიანის ქუჩაზე, მის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მაღალსართულიანი კორპუსის შენებლობის ნებართვა მერიამ უკანონოდ მისცა.

– ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივი ბიზნესისთვის, აბსოლუტურად ხელმისწვდომია იმ ადამიანებისთვის, ვინც „ქართული ოცნების“ ელიტაშია. კორუფცია ქვეყანაში სიტემურია და ეს ბიძინა ივანიშვილის დამკვიდრებულია, – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა.

ნიუსპრესი

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ვაშინგტონ პოსტი: „ტრამპისტების გამარჯვება ქართველი საზოგადოებისთვის შოკი იქნება“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, საუბარია იმაზე, არსებობს თუ არა საქართველოსთვის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა (ავტორი – ჯექსონ დილი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის თავისუფალ თარგმანს:

დონალდ ტრამპის ამასწინანდელმა რიტორიკამ „ნატოს მოძველება-უსარგებლობის“ შესახებ, რასაკვირველია, საკმაოდ შეაშფოთა გერმანელები და ფრანგები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე ფიქრობენ, მაგრამ მათი შეშფოთების დონე არაფერია იმ ევრაზიული ქვეყნების აფორიაქების დონესთან შედარებით, რომლებიც, ალბათ, დონალდ ტრამპს არც უგულისხმია, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან.

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანათაგანი საქართველოა. ეს 4,5 მილიონიანი მოსახლეობის მქონე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა ძირითადად ქრისტიანული ქვეყანაა, რომელმაც ათიოდე წლის წინ მოსკოვის ორბიტიდან გამოსვლა და დასავლეთთან ინტეგრირება მოისურვა. საქართველოს პოლიტიკური ლიდერები, მოსახლეობის მხარდაჭერით ცდილობდნენ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და ლიბერალური პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობას (თავისუფალი მასმედიის, დამოუკიდებელი სასამართლო და საარჩევნო სისტემის შექმნის ჩათვლით). შედეგები არაერთგვაროვანი აღმოჩნდა: იყო წინსვლა და ვარდნა, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში რუსეთის თავდასხმით, რომლის შედეგად საქართველომ თავისი ორი რეგიონი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ არსებობა შეინარჩუნა და დღეს ორი დიდი მიზნის შესრულება აქვს დასახული: ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება.

ახლა კი უეცრად, ორივე ალიანსი – ნატოც და ევროკავშირიც პოპულისტებისა და ნაციონალისტების ხელით შესაძლოა დაშლის პირას დადგეს – იმ ადამიანების მცდელობით, რომლებსაც კვლავ საზღვრების აღდგენა სურთ, მიგრანტების მიღების წინააღმდეგ გამოდიან და არ უნდათ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

რა მოხდება, თუ ტრამპისტები გაიმარჯვებენ?

– ცხადია, ეს იქნება შოკი [ქართული] საზოგადოებისათვის“, – მითხრა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გასულ კვირას, – „და, რა თქმა უნდა, ეს იქნება სერიოზული პრობლემა ჩვენი უსაფრთხოებისათვის. ჩვენ ხომ ისეთი მეზობელი გვყავს, რომელსაც სულ სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო“. რასაკვირველია, ამ მეზობელში რუსეთი იგულისხმება, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, გიორგი მარგველაშვილი აცნობიერებს საქართველოს წინაშე მდგარ დილემას, ბარაკ ობამასა და დონალდ ტრამპის თვალსაზრისებს, თვალსაზრისს „ნატოში უბილეთოდ შესვლის მსურველების“ თაობაზე და გერმანიასაფრანგეთის პოზიციას, რომლებსაც არ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას იმ როლს, რომელიც ნატომ პოსტსაბჭოთა პერიოდში შეასრულა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების განმტკიცებისათვის. იყო იმის საფრთხე, რომ [აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები] დიქტატურის ქაოსში ჩაძირულიყვნენ, მაგრამ ისინი ალიანსის დახმარებით დემოკრატიულ ქვეყნებად გადაიქცნენ. საბოლოო ჯამში, ნატომ სახელმწიფოთა მშენებლობის საკითხში ისტორიულ წარმატებას მიაღწია: რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის პოლონეთმა, უნგრეთმა, ლატვიამ და ესტონეთმა... და მათ შორის, დიახ, საქართველომაც და უკრაინამაც სახელმწიფოებრიობის დასავლური მოდელი აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერჯერობით ნატოსა და ევროკავშირის წევრები არ არიან.

ჰოდა, ასეთ შემთხვევაში დონალდ ტრამპისა და მისი მხარდამჭერების გამარჯვება ამ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს საფრთხის წინაშე აყენებს. ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ ნატოს თითქმის ყველა ახალი წევრი, მათ შორის ბალტიის ქვეყნები (რომ არაფერი ვთქვათ უკრაინასა და საქართველოზე), რუსეთის აგრესიის რისკის ქვეშ დგებიან. რა თქმა უნდა, ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდებოდნენ ის სხვა ქვეყნებიც, რომლებიც დასავლეთთან ინტეგრირების გზაზე დგანან, მაგრამ იქამდე ჯერ ვერ მიუღწევიათ.

დონალდ ტრამპს და მისი მომხრეებს შეიძლება ასეთი დანაკარგი ნაკლებად აღელვებთ, მაგრამ როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, ისინი [საბოლოო ჯამში], ასეთ პოზიციას ინანებენ. მისი თქმით, არ შეიძლება მცირე ქვეყნების დატოვება ყურადღების გარეშე. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება საქართველოსა და უკრაინის დავიწყებით ვერ მოხდება. არსებობენ აგრეთვე სხვა რეგიონული სახელმწიფოები – ჩინეთი და, ვთქვათ, ირანი, რომლებიც თავიანთ მეზობლებზე დომინირებას ცდილობენ.

საქართველო იმის ნათელი მაგალითია, როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა დემოკრატიულ გარდაქმნებთან და პროგრესთან. გავიხსენოთ 2012 წელს გამართული საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგად პროდასავლური მთავრობა, მართალია, დემოკრატიული გზით შეიცვალა, მაგრამ ხელისუფლებაში მოვიდა ახალი კოალიცია მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც დონალდ ტრამპის მსგავსი მოქმედება ახასიათებს – პოპულისტური დემაგოგია და ავტოკრატიული გადახრები.

დროდადრო იქმნებოდა იმის შთაბეჭდილება, რომ ახალ რეჟიმს შეეძლო სრულიად გაენადგურებინა ის წარმატებები, რასაც საქართველომ მიაღწია: დაიწყო სამართლებრივი დევნა წინა ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ, ხდებოდა ზეწოლა იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ, რომლებსაც მთავრობა ვერ აკონტროლებდა, თუმცა იმავდროულად ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა, რომ ევროკავშირსა და ნატოს გაწევრიანების ერთგული იყო. შესაბამისად, ბრიუსელმა და ვაშინგტონმა საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენა მოახდინეს – სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოში კვლავ არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია, რომ კვლავ მოქმედებს ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ტელეარხი, რომელიც მთავრობას აკრიტიკებს და ის, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები, როგორც ჩანს, კონკურენტული იქნება. გარდა ამისა, საქართველო ინარჩუნებს თავის 750-კაციან სამხედრო კონტინგენტს ავღანეთში.

დონალდ ტრამპის რიტორიკამ ბიძგი მისცა საქართველოს პრორუსული პოლიტიკური ძალების კამპანიის გააქტიურებას. გიორგი მარგველაშვილის თქმით, ისინი საქართველოს პროევროპული და პრონატოური კურსის წინააღმდეგნი არიან და აცხადებენ, რომ ეს არასოდეს არ მოხდება. საქართველოს პრეზიდენტს, ისევე, როგორც ევრაზიული ქვეყნების სხვა ლიდერებს, იმედი აქვთ, რომ ამერიკის პოლიტიკური სეზონი ასეთ შედეგს არ დაუშვებს (ანუ ტრამპისტების გამარჯვებას), – ნათქვამია სტატიაში.

„Süddeutsche Zeitung“: „საქართველო კავკასიის სამოთხეა“

გერმანულ გამოცემა „Süddeutsche Zeitung“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ვრცლადაა წარმოდგენილი საქართველოს მთიანი რეგიონის – სვანეთის სამთო-ტურისტული პოტენციალი, ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, რეგიონის ღირსშესანიშნაობებზე, ისტორიასა და პერსპექტივაზე (ავტორი – ჰანს გასერი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

სვანეთი უკვე 100 წელია ტურისტებს იზიდავს, თუმცა თავდაპირველად იქ ევროპიდან ძირითადად ალპინიზმის მოყვარულები მიდიოდნენ. დღეს სვანეთში ტურისტები ჯერჯერობით უმთავრესად ზაფხულში ჩადიან, ფეხით სამოგზაუროდ, სოფლიდან სოფელში. აქ სოფლები ძალიან მაღალ ადგილებზეა გაშენებული, ზოგიერთი კი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, მაგალითად, უშგული, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი კოშკებით 2200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. გარდა საზაფხულო ტურიზმისა, სვანეთში ზამთრის ტურიზმიც განვითარებულია: აქაა თეთნულდის სამთო კურორტის ინფრასტრუქტურა თეთნულდი, სადაც პირველი საბაგირო თებერვალში გაიხსნა, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორი ვრცლად აღწერს ქალაქ მესტიას, სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც „კავკასიურ სან-ჯერმინიანოს“ მოგვაგონებს, მაგრამ მესტია უფრო შთამბეჭდავია: აქ ყოველ მეორე სახლს აქვს ქვისგან აშენებული შუასაუკუნეობრივი კოშკები, რომლებიც ადამიანებს მშვიდობიან დროს ზვავებისა და მეწყერებისაგან იცავდა, ომიანობის დროს კი თავდაცვითი ნაგებობების როლს ასრულებდა. კლანებს შორის ატეხილი დაპირისპირების დროს კოშკები ხშირად თავშესაფრადაც გამოიყენებოდა. ამ ნაგებობების ნახვა საინტერესოა ღამითაც, როცა ისინი განათებულია. მესტიის ქუჩებში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსაც დაინახავთ – ახალი სასტუმროკაფეებისა და მუზეუმების გვერდით. ქალაქს აქვს მცირე აეროპორტი, თანამედროვე ადმინისტრაციული შენობით.

ავტორი ესაუბრება ადგილობრივ მცხოვრებ თეა ჟორჟოლიანს, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს:

„იგი თანამედროვეობის განსახიერებაა – მან ექიმის სპეციალობა მიატოვა და ახლა მაღაზიისა და რესტორნის მფლობელია, სადაც სტუმრებს ქართული კერძები შეუძლიათ მიირთვან, შემწვარი კალმახის ჩათვლით. მთავარი კი მაინც სვანური კუბდარია, რომელსაც შეშის ღუმელში აცხობენ. „გასულ ზაფხულს ტურისტული ბუმი იდგა: გერმანელები, ებრაელები, ბალტიისპირელები იყვნენ ჩამოსულნი, თუმცა ზამთრობითაც სულ უფრო მეტ მოგზაურს ვხედავთ“, – ამბობს თეა ჟორჟოლიანი და თავის გეგმებს აწყობს, 24-ადგილიანი სასტუმროს აშენება სურს. იგი კმაყოფილია ხელისუფლებით: „მალე ძალაში შევა ახალი კანონი, რომელიც მთიან რეგიონებში ბიზნესმენებს გადასახადებისაგან ათავისუფლებს. ეს ძალიან კარგია“.

ნიუსპრესი

„The Wall Street Journal“: „პატარა საქართველო როგორც დიდი ღვინის ქვეყანა“

„კახეთი, შავ ზღვისა და კავკასიის მთებს შორის მდებარე საქართველოს პროვინცია, პატარა ლამაზი ქალაქებისა და სოფლების იდილია, მეღვინეობის უძველეს ტრადიციები“ – ამის შესახებ გავლენიანი ამერიკული გამოცემის „თჰე ჭალლ შტრეეტ ჟოურნალ“-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაშია ნათქვამი.

გთავაზობთ მასალის რეზიუმეს, სადაც გადმოცემულია საქართველოში, კონკრეტულად კი კახეთის რეგიონში ყოფნის შთაბეჭდილება, ყურადღება განსაკუთრებით ეთმობა მევენახეობას, ქართული ღვინის კულტურას, ღვინის დაყენების წესს, ისტორიას და თანამედროვე მდგომარეობას (ავტორი – იზაბელ ბარტონი).

„პატარა საქართველო კავკასიაში, კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარეობს. ამ ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონი, კახეთი, როგორც ქართველები ამბობენ, ღვინის სამშობლოდ ითვლება. ვენახის, ვაზის მოვლა კახეთის მოსახლეობის ძირითად საქმიანობად ითვლება“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

ავტორი ესაუბრება ნაფარეულელ მეღვინე-ბიზნესმენებს, ეცნობა ქართული ღვინის მარკებს, ქვევრებს...

„ყოველი კახელი ამაყობს საკუთარ ქვევრში დაყენებული ღვინით. აქ ღვინის კულტურას უძველესი ისტორია აქვს (ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიცხვამდე მეოთხე ათასწლეულიდან). საქართველოში თანდათან ღვინის ტურიზმი ვითარდება. კომპანია „შუხმანის“ მენეჯერ ილია დათუნაშვილის თქმით, 2004 წელს საქართველოში მხოლოდ 120 ათასი ტურისტი ჩამოდიოდა, ახლა ექვსი მილიონი ჩამოდის“. ეს კომპანია აქცენტს ევროპელ და ამერიკელ ტურისტებზე აკეთებს და ნაკლებად არის რუსეთზე დამოკიდებული, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ მტრად მიიჩნევა“, – წერს ავტორი.

პუბლიკაციაში ასევე ვრცლადაა გადმოცემული კახეთის ქალაქებში თელავსა და სიღნაღში ავტორის ყოფნის შთაბეჭდილებებიც.

თეა ჟორჟოლიანი მხარს უჭერს მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რომელსაც საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს. 2012 წელს გამართულ [საპარლამენტო არჩევნებში] ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია დაამარცხა. დღეს ექს-პრეზიდენტი ბევრს სძულს, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ სვანეთში ტურიზმის განვითარებას ბიძგი სწორედ მან მისცა“, – აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციის დასასრულს ავტორი ეხება ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს, ახალგაზრდების ყოფა-ცხოვრებას, მათ გატაცებას ალპინიზმსა და ტურიზმში, თუ როგორ ცდილობენ ისინი ხალხური ტრადიციებისა და სვანური ენის შენარჩუნებას, რომელიც „ერთ-ერთი უძველესი სალაპარაკო ენაა მსოფლიოში“.

ნიუსპრესი

ანტონ გერაშენკო: „სააკაშვილი ჩასარეცხადაა განწირული“

უკრაინული გამოცემა „Аргументы и факты в Украине, უკრაინის რადას დეპუტატ ანტონ გერაშენკოსთან ინტერვიუს აქვეყნებს, სადაც დეპუტატი აცხადებს, რომ სააკაშვილის დღეები უკრაინაში, – დათვლილია.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს რეზიუმეს:

– უკრაინელი პოლიტიკოსების ტრაგედია იმაშია, რომ ყველანი ორმაგ თამაშს ეწევიან, ჩვენი მოქალაქეები კი ამ აისბერგის მხოლოდ მეათედ ნაწილს ხედავენ. ხალხს არ აქვს იმის დრო და შესაძლებლობა, რომ [პოლიტიკოსთა სიცრუეში] გაერკვეს, – ამბობს უკრაინის პარლამენტის წევრი ანტონ გერაშენკო ჟურნალისტ ალისა სვეტლაკოვასთან საუბარში.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, „სწორია თუ არა კრიტიკა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაა მიმართული – მას ხომ ხალხში რეფორმატორისა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯი აქვს შექმნილიო“, ანტონ გერაშენკო ასე პასუხობს:

– მე მზად ვიქნები მიხეილ სააკაშვილის გუნდში გავერთიანდე, მან რომ ნორმალურად განმიმარტოს, თუ როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებ მისი რეფორმების განხორციელების შემდეგ. ჩვენთვის ხომ ცნობილია, საიდან მოვიდა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილი? რეფორმირებული საქართველოდან, სადაც მას დაბრუნება და ცხოვრება აღარ შეუძლია. ესე იგი, რაღაცასთან გვაქვს საქმე, ხომ? მე გეტყვით: მიხეილ სააკაშვილი სამართალდამცავ ორგანოებს ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებდა და მათ ისე უსწორდებოდა... მან დაარბია და დახურა ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც მის ხელისუფლებას აკრიტიკებდა...

უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს ასეთი მეთოდები არ გაუვა, იგი ასეთი გზით ჩვენთან ხელისუფლებაში ვერ მოვა. მაისში ერთი წელი უნდა გავიდეს ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტზე მისი დანიშვნიდან. მან ყველა თანამდებობაზე „თავისი კაცები“ და „თავისი ქალები“ დანიშნა: ოლქის პოლიციის უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე, ოლქის პროკურორი დავით საყვარელიძე, საბაჟოს უფროსი იულია მარუშევსკაია და სხვები... მოკლედ, ყველა მისიანი იყო. ბევრი ოდესელი ელოდა, რომ ასეთი ფართო უფლებების პირობებში გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი შეძლებდა ოლქში სერიოზული გარდაქმნების განხორციელებას.

დავით საყვარელიძის ამასწინანდელი გადადგომა, საბაჟოს შემოწმებები და უკრაინის უშიშროების სამსახურის დაინტერესება ე.წ. „ქართული გუნდის“ საქმეებით დაკავშირებულია იმასთან, რომ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მხრიდან ნდობა დაკარგა, იგი „ჩასარეცხადაა“ განწირული. და რატომ დაკარგა ნდობა? იმიტომ, რომ პეტრო პოროშენკოს იმედი ჰქონდა პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკთან ბრძოლაში მიხეილ სააკაშვილს ტარანის როლში გამოიყენებდა, მაგრამ ამბიციურმა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა არ მოისურვა პრეზიდენტის ხელში იარაღი ყოფილიყო. მიხეილ სააკაშვილი დაინტერესებულია იმით, რომ მას თავისი პოლიტიკური ძალა ჰყავდეს – ისეთი, რომელიც პირადად მას დაემორჩილებოდა და რომელიც ვადამდელ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას.

ვფიქრობ, ახლა [არაფრისგამკეთებელი] მიხეილ სააკაშვილი თვითონ ეძებს საბაბს, რომ თავისი პოსტიდან ხმაურით წავიდეს. იგი ოცნებობს, რომ თვით პრეზიდენტმა ან პრემიერ-მინისტრმა გაათავისუფლოს თანამდებობიდან, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამაზე არ მიდის – მათ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისაგან „წამებულის შარავანდედიანი“ პოლიტიკოსის შექმნა არ სურთ.

ნიუსპრესი

ბათუმის აფთიაქში ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვის ფაქტი გამოავლინეს

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტმა ბათუმის ერთ-ერთ აფთიაქში ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაყიდვის ფაქტი გამოავლინა.

როგორც ჟურნალისტებს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ეთერ შურღაიამ განუცხადა, აფთიაქში ასევე დარღვეული იყო ფსიქოტროპული მედიკამენტების აღრიცხვის წესი.

მისივე განმარტებით, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც მეწარმე 6 ათასი ლარით დაჯარიმდება.

– ბათუმის ერთ-ერთ ავტორიზებულ აფთიაქში განხორციელდა კონტროლის ღონისძიებები, რის შედეგადაც გამოვლინდა ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზაციის ფაქტები სათანადო რეცეპტის გარეშე,ფსიქოტროპული მედიკამენტების აღრიცხვის წესის დარღვევა, ნაწილ ფსიქოტროპულ ნივთიერებაზე ვერ იქნა წარმოდგენილი მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განსახილველად ჩაბარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში მეწარმეს განესაზღვრება სახდელი 6 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმა, – აღნიშნა ეთერ შურღაიამ. აფთიაქის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

ინტერპრესნიუსი

ქუთაისში ბაღის მშენებლობაზე დასაქმებულებმა აქცია გამართეს

ქუთაისში ბაღის მშენებლობაზე დასაქმებულებმა აქცია გამართეს ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში №37 ბაღის მშენებლობაზე დასაქმებულებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, აქციის მონაწილეები სამშენებლო კომპანია „ლინს“ მათ კუთვნილი ხელფასების გადახდას სთხოვენ.

აქციის მონაწილეების მტკიცებით, კომპანიას დასაქმებულების მიმართ დავალიანების სახით 28 ათას ლარამდე გააჩნია. მათივე თქმით, თუკი ხელისუფლება და კომპანიის წარმომადგენლები მათ მოთხოვნებს დროულად ყურადღებას არ მიაქცევენ, ისინი საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ.

ინტერპრესნიუსი

მელიქიშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა

თბილისში, მელიქიშვილის ქუჩის 13 ნომერში საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, ჩამონგრეულია სახლის სამზარეულოს კედელი.

მათივე ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე სამაშველო სამსახურის 2 ბრიგადა მუშაობს.

ინტერპრესნიუსი

საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს

თბილისის საქალაქო სასამართლო „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ განცხადების დაკმაყოფილებაზე განცხადებას ავრცელებს.

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ განცხადება გაფიცვის გადადების შესახებ. საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენდა მემანქანეთა – ა(ა)იპ „ერთობა 2013“-ის წევრთა გაფიცვის 30 კალენდარული დღით გადადება.

როგორც სასამართლოში განმარტავენ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ 2015 წლის 1 მარტს წერილობით მიმართეს ა(ა)იპ „ერთობა 2013“-ის – მეტროპოლიტენის ელმატარებლების მემანქანეთა და დასაქმებულთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის წევრებმა და მოითხოვეს: წელთა ნამსახურობის შესაბამისად, საათობრივ სატარიფო განაკვეთზე დანამატის გაცემა; ღამის საათების ანაზღაურება ორმაგი ტარიფით; საათობრივი სატარიფო განაკვეთის მატება ეროვნული ვალუტის ინფლაციის შედეგად გამოწვეული დანაკლისის ასანაზღაურებლად.

– განმცხადებლის განმარტებით, იგი დაუყოვნებლივ ჩაება დავის განხილვაში და შესთავაზა დავის ინიციატორებს, მხარეებს შორის დავის წარმოშობამდე წარმოდგენილი მოთხოვნის – შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ დასაქმებული მემანქანეებისთვის საათობრივ სატარიფო განაკვეთზე წელთა ნამსახურობის შესაბამისად დანამატის გაცემის საკითხის დაკმაყოფილება, რაზეც ა(ა)იპ „ერთობა 2013“-ის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს და წარმოდგენილი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

მხარეთა შორის წარმოშობილი კოლექტიური დავის განხილვა-გადაწყვეტისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დაინიშნა მედიატორი, რომლის უშუალო მონაწილეობით მხარეთა არაერთი შეხვედრა გაიმართა. შედეგად შეთანხმდა მხოლოდ სტაჟის მიხედვით წლიური დანამატის საკითხი.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, გაფიცვის უფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ევროპული სამართლის ზოგადი პრინციპების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ იგი არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს. სასამართლო საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო საქართველოს შრომის კოდექსის 50-ე მუხლის დანაწესს, რომლის თანახმადაც, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე, სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს, გადადოს გაფიცვის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა შეაჩეროს ამავე ვადით.

სასამართლოს მიხედულებით, განმცხადებელ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მოთხოვნა გაფიცვის გადადების თაობაზე სრულად შეესაბამება მოხმობილი ნორმის დანაწესს: მეტროპოლიტენში დასაქმებულთა გაფიცვა უდავოდ საფრთხეს შეუქმნის ამ მუხლში აღნიშნულ მრავალ სიკეთეს, ამავე დროს, ქალაქ თბილისის მოსახლეობის გადაადგილების ჩვეულ რეჟიმს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურებისათვის – სასწრაფო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების სამსახურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე სამსახურის – მეტროპოლიტენის ნორმალურ ფუნქციონირებას, რის შედეგადაც მოსალოდნელი ზიანის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

სასამართლოს განჩინება გაფიცვის გადადების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, რაც არ შეაჩერებს ამ განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულებას, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

ბაჩო კიკაბიძე: „სასამართლო დარბაზში იყო დიდი ხავსი, რომელსაც კორძახია ეჭიდებოდა“

სასამართლო დარბაზში იყო დიდი ხავსი, რომელსაც კორძახია ეჭიდებოდა, – განაცხადა შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ „მაესტროს“ ლოგოსთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.

როგორც კიკაბიძემ აღნიშნა, ხავსი იყო მოსარჩელე მხარის ის მოთხოვნა, რომელიც მოსამართლემ დააკმაყოფილა, კერძოდ, 2016 წლის 9 თებერვლის კრების ოქმის დართვა საქმეზე, სადაც თითქოს ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ კიკაბიძის მოთხოვნის საფუძველზე გადასცა მათ ლოგო.

სასამართლო პროცესზე როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარეებმა რამდენიმე შუამდგომლობა დააყენეს, რომელთაგან მოსამართლემ არ დააკმაყოფილა „საქპატენტის“ წარმომადგენლის დაკითხვის შუამდგომლობა.

რაც შეეხება კრების ოქმის საქმეზე დართვას, როგორც გია გაჩეჩილაძის ადვოკატმა ირაკლი კორძახიამ განაცხადა, აღნიშნული კრების ოქმში გადაბაძემ დაადასტურა, რომ კიკაბიძის თხოვნის საფუძველზე მოახდინა ლოგოს გაჩუქება.

– დირექტორები არ ახდენენ იმ კომპანიის ქონების გაჩუქებას, რომელიც მათ მინდობილი აქვთ ვიღაცის თხოვნის საფუძველზე. შესაბამისად, ლოგოს გაჩუქებას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, – განაცხადა ირაკლი კორძახიამ.

აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ ბაჩო კიკაბიძის ინტერესების დამცველებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ ბაია გადაბაძე საქმეში მესამე პირად ჩაერთოს, რათა თავად განმარტოს, თუ რა მოხდა პარტნიორთა კრებაზე. როგორც ადვოკატები აცხადებენ, მათ აქვთ კონკრეტული კითხვები, რომლებსაც დაუსვამენ გადაბაძეს და მიიღებენ ამომწურავ პასუხებს. თავის მხრივ, ბაჩო კიკაბიძემ აღნიშნა, რომ აბსურდია იმის მტკიცება, რომ ბაია გადაბაძე შეცვლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უკვე მიღებული აქვს.

ბაჩო კიკაბიძე:

– ერთ-ერთ კრებაზე ბაია გადაბაძის გამწარებულზე წამოსროლილ ფრაზას მოეჭიდა მოსარჩელე მხარე და ამ ფრაზის გამო მესამე პირად უნდა ჩაერთოს საქმეში ბაია გადაბაძე. სასამართლო დარბაზში იყო დიდი ხავსი, რომელსაც კორძახია ეჭიდებოდა. სხვა მეტი მოსაჭიდი არაფერი იყო, ამიტომ ხავსი ნახა და იმას ეჭიდებოდა. როგორ გგონიათ, ბაია გადაბაძე იტყვის, რომ არაკანონიერად გადაეცა კიკაბიძეს ლოგო?

ინტერპრესნიუსი

დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე მოქალაქე გოდერძი ბუთხუძე დააკავა.

– გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა ერთ-ერთ მოქალაქეზე გაასაღა 5.000 აშშ დოლარის ყალბი 100-დოლარიანი კუპიურები, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოს სახით მიიღო გასაღებული თანხის ოდენობის 25%. ყალბი კუპიურები დამზადებულია მაღალტექნოლოგიურად და მოქალაქისათვის მისი ნამდვილისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

უწყების განმარტებით, საგამოძიებო სამსახური აგრძელებს მუშაობას იმის დასადგენად, თუ რა რაოდენობის ყალბი აშშ დოლარის გასაღება მოხდა ბრალდებულის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

ინტერპრესნიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1971 წელს დაბადებული დავით ჟ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით თბილისში, საირმის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას „ჩე-ზე“-ს ტიპის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

განცხადებები

იყიდება

● იყიდება სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ახალი სრული კომპლექტით, გარანტიით. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.

რეფერენდუმი ნიდერლანდებში: მოგებული მხოლოდ კრემლია

დასავლეთი უკრაინის დახმარებას არ შეწყვეტს

ნიდერლანებში დასრულდა რეფერენდუმი უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოციაციის ხელშეკრულების თაობაზე.

რეფერენდუმზე მოსული მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა უკრაინის წინააღმდეგ მისცა. უშუალოდ რეფერენდუმის მსვლელობა მსოფლიოს წამყვანმა მასმედიამ ფართოდ გააშუქა. ახლა მთავარია, რა მოხდება შემდეგ.

ჰოლანდიელი ექსპერტი კრისტიან ნოაკი აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციალისტად ითვლება. ექსპერტის აზრით, შემდგომი მოვლენების შესაძლო განვითარების სამი სცენარის დასახელება შეიძლება.

სცენარი პირველი: ჰოლანდიის მთავრობა იწყებს მოლაპარაკებებს ბრიუსელთან უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოციაციის ხელშეკრულების რეალიზაციის თაობაზე, ხოლო ჰოლანდიელები მიაღწევენ იმას, რომ ხელშეკრულების რიგი მუხლი მათზე არ გავრცელდება.

სცენარი მეორე: ნიდერლანდების ხელისუფლების ძალისხმევით, ევროპარლამენტი ოფიციალურად დააფიქსირებს, რომ უკრაინა ევროკავშირის წევრი არ გახდება.

სცენარი მესამე: უკრაინა-ევროკავშირს შორის დაახლოების პროცესი შეჩერდება, ხელშეკრულება ასოცირების შესახებ კი მოქმედებას შეწყვეტს.

– მესამე გზა არარეალისტურად მიმაჩნია, რადგან ამით როგორც თავად ნიდერლანდები, ასევე მთელი ევროპა დაზარალდება, მით უმეტეს, რომ უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია ევროპის ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, ჰოლანდიის პარლამენტმაც მოახდინა, – ამბობს ნოაკი.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებაზე: „ნიდერლანდის რეფერენდუმით იმედგაცრუებული ვარ, თუმცა უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმება ასოციაციის თაობაზე მოქმედებას მაინც არ შეწყვეტს“.

– შესაძლოა, ამ შეთანხმებას დროებითის სტატუსი მიენიჭოს, მაგრამ ის მაინც მოქმედებაში იქნება, – თქვა იუნკერმა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიელთა ნებას პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ უკრაინისთვის ხელის კვრაც არ შეიძლება. გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებმა კი ერთხმად განაცხადეს, შეთანხმება უკრაინა-ევროკავშირს შორის კვლავაც ძალაშიაო.

მერკელის თქმით, ჰოლანდიურმა რეფერენდუმმა ერთგვარი პრობლემები შექმნა, თუმცა ისინი გადაწყვეტადია.

– ნიდერლანდების ხელისუფლებასთან სათანადო მუშაობა უკვე მიმდინარეობს, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის ევროკავშირთან დაახლოებას ვერავინ და ვერაფერი შეაფერხებს. მან მოუწოდა უკრაინელებს, დემოკრატიული რეფორმები გააგრძელონ.

– ევროპა უკრაინას მომავალშიც დაეხმარება, – თქვა მერკელმა.

ნოაკი ამ ყველაფერს საგანგებოდ უსვამს ხაზს და შემდეგ დასკვნას აკეთებს:

– ჰოლანდიური რეფერენდუმის შედეგებით უკრაინამ არაფერი წაგო. ამავე დროს, რეფერენდუმმა გვიჩვენა, რაოდენ გაძლიერდა ევროსკეპტიკოსთა გავლენა.

ნოაკის აზრით, რეფერენდუმის შემდეგ ევროსკეპტიკოსები კიდევ უფრო გააქტიურდებიან, ეს კი პრობლემას უქმნის არა უკრაინას, არამედ ჰოლანდიასა და მთელ ევროპას – ამ პროცესის გაგრძელება ევროკავშირში განხეთქილების ზრდას ნიშნავს.

– ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ევროკავშირში განხეთქილების გაძლიერებითაა დაინტერესებული, რუსეთია. შესაბამისად, ჰოლანდიური რეფერენდუმის შედეგებით მოგებული მხოლოდ კრემლია, – ამბობს ნოაკი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა განაცხადა, რომ აშშ ჰოლანდიური რეფერენდუმის შედეგებით იმედგაცრუებულია. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ჰოლანდიელი ხალხის ნებას პატივს სცემს.

– რეფერენდუმს კონსულტაციური მნიშვნელობა ჰქონდა. ის, თუ როგორი იქნება შემდგომი ნაბიჯები, ჰოლანდიის მთავრობის გადასაწყვეტია, – თქვა ტონერმა.



რუსეთში კრიზისი გაგრძელდება

რუსეთის ბანკის ხელმძღვანელმა ელვირა ნაბიულინამ განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკაში სტაბილიზაციის პერიოდი დაიწყო.

ნაბიულინამ აღიარა, რომ პრობლემები კვლავაც არსებობს, რაც, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთის სანქციებითაა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, რუსეთის ბანკის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ მალე სიტუაცია დასტაბილიზდება.

– ყველაზე უარესი პერიოდი უკან დარჩა, – თქვა ნაბიულინამ.

მსოფლიო ბანკი ამას არ ეთანხმება. თანახმად მისი პროგნოზისა, უახლოეს მომავალში რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება და ღარიბთა რაოდენობა 20 მილიონს მიაღწევს (სულ რუსეთის მოსახლეობა 140 მილიონს ითვლის).

– რუსეთში ეკონომიკური კრიზისი გაგრძელდება, – ასეთია მსოფლიო ბანკის პროგნოზი.

ტერაქტი ბრიუსელში: გამოძიებამ ახალ ფაქტებს მიაგნო

გრძელდება ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტების გამოძიება.

ბელგიის პროკურატურამ გამოაქვეყნა ვიდეო, საიდანაც ირკვევა, რომ ტერაქტში არა სამი (როგორც თავდაპირველად ეგონათ), არამედ ოთხი მებრძოლი მონაწილეობდა.

– სამი ტერორისტი-კამიკაძე დაიღუპა, მეოთხე გადარჩა და ამჯერად მიმალვაშია, – აცხადებს ბელგიის პროკურატურა.

ვიდეოფირზე, რომელიც პროკურატურამ გაასაჯაროვა, მართლაც დაფიქსირებულია მეოთხე ტერორისტი. ფედერალურმა პროკურორმა ერიკ ვადერსიტმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა და მიმალული ტერორისტის შესახებ ცნობების მიწოდება სთხოვა.

– ფულად ჯილდოს მიიღებს ყველა, ვინც გვაცნობებს, თუ სად იმალება ტერორისტი, – თქვა პროკურორმა

ბასი: „აშშ და თურქეთი ტერორიზმს ერთად ებრძვიან“

აშშ-ის ელჩმა თურქეთში ბასმა განაცხადა, რომ ვაშინგტონისა და ანკარის თანამშრომლობა ურყევია.

ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქეთი და ამერიკა მოკავშირეები არიან.

– ჩვენ ტერორიზმის წინააღმდეგ ერთად ვიბრძვით, – თქვა ბასმა.

ელჩმა განაცხადა, რომ თურქეთი და აშშ გეგმავენ ოპერაციას, რომლის მიზანია ექსტრემისტების, უწინარეს ყოვლისა, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების, ქურთების საზღვრიდან შორს გაწევა.

ბასი ქურთების პრობლემასაც შეეხო.

– ქურთების მუშათა პარტიას მოვუწოდებ, დაყაროს იარაღი და თურქეთის ტერიტორიაზე ყოველგვარი ძალადობა შეწყვიტოს, – ამბობს ბასი.

ნადეჟდა სავჩენკო, შესაძლოა, იძულებით კვებაზე გადაიყვანონ

უკრაინელი მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო, რომელმაც მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, შესაძლოა, იძულებით კვებაზე გადაიყვანონ.

ამის თაობაზე მისმა ადვოკატმა მარკ ფეიგინმა განაცხადა.

– სავჩენკოს სიცოცხლე საფრთხეშია. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ის, როგორც უკრაინის რადის, ასევე ევროპის საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატია, მისი სიკვდილი რუსეთისთვის სკანდალს გამოიწვევს, – ამბობს ფეიგინი.

ადვოკატის აზრით, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ სავჩენკო იძულებით კვებაზე გადაიყვანონ.

– პუტინი სავჩენკოს სიკვდილს არ დაუშვებს, – აცხადებს ფეიგინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელკი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ევროპა ძველისძველი მეჯოქეების ჯახისა და რურის დერბის მოლოდინშია

სტატისტიკა, ფსონები

საინტერესო უქმეები ელის ფეხბურთის გულშემატკივარს. ინგლისში მე-2 ადგილზე მყოფი ტოტენჰემი შინ დაუხვდება მანჩესტერს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ზონაში შესვლას ლამობს.

ესპანეთში ვალენსია-სევილიაა – იმ გუნდების ჯახი, რომლებსაც ისტორიულად პრეტენზია აქვთ, მე-3 გუნდი იყვნენ ქვეყანაში.

იტალიაში ძველისძველი მეტოქეების მატჩია – მილანი-იუვენტუსი. იგივე უნდა ითქვას საფრანგეთში მარსელი-ბორდოს ჯახზე.

ყველაზე საინტერესო კი რურის დერბია – შალკე-დორტმუნდი.

ინგლისი

09.04 ვესტ ჰემი-არსენალი	3.5	3.6	2.0
09.04 სუონსი-ჩელსი	3.8	3.3	2.0
09.04 ასტონ ვილა-ბორნმუთი	3.5	3.25	2.15
09.04 კრ.პალასი-ნორვიჩი	2.0	3.4	3.8
09.04 საუთჰემპტონი-ნიუკასლი	1.57	3.75	6.5
09.04 უოტფორდი-ევერტონი	3.5	3.25	2.15
09.04 სიტი-ვესტ ბრომვიჩი	1.33	4.8	10.0
10.04 სანდერლენდი-ლესტერი	3.5	3.25	2.15
10.04 ლივერპული-სტოკი	1.6	3.75	6.0
10.04 ტოტენჰემი-მანჩესტერი	1.95	3.5	3.8

ვესტ ჰემი-არსენალი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-არავინ

არსენალი: ***ტრავმ***-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კაზორლა

სუონსი-ჩელსი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

ჩელსი: ***ტრავმ***-ლოიკ რემი, კურტ ზუმა

ასტონ ვილა-ბორნმუთი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ლიბორ კოზაკი, ჯორდან ამავი; ***დისკვ***-ალან ჰატონი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ სმიტი, ტოკელო რანტიე, ბენიკ აფობე, ჰარი არტერი, ჯუნიორ სტანისლასი, ტაირომ მინგსი, კალუმ უილსონი

კრ.პალასი-ნორვიჩი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მარუან შამახი, ჯეიმს მაკარტური

ნორვიჩი: ***ტრავმ***-რასელ მარტინი, ალექსანდერ ტეტეი

საუთჰემპტონი-ნიუკასლი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მატ ტარგეტი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-რობერტ ელიოტი, მასადიო ჰაიდარა, ტიმ კრული; ***დისკვ***-ჯეკ კოლბეკი

უოტფორდი-ევერტონი

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-სტივენ პიენაარი, ტიას ბრაუნინგი, ტონი ჰიბერტი

სიტი-ვესტ ბრომვიჩი

სიტი: ***ტრავმ***-რაჰიმ სტირლინგი, ვინსენტ კომპანი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრის ბრუნტი

სანდერლენდი-ლესტერი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანკან უიტმორი

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ლივერპული-სტოკი

ლივერპული: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე, ჯორდან როსიტერი, დენი ინგსი, ჯოზეფ გომესი; ***დისკვ***-ემრე კანი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეკ ბატლენდი, ჯონათან უოლტერსი, რაიან შოუკროსი, მარკ უილსონი

ტოტენჰემი-მანჩესტერი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ნაბილ ბენტალები, კლინტონ მუა ნჯიე

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ბასტიან შვაინშტაიგერი, უილიამ კინი, უეინ რუნი, ლუკ შოუ

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	32	20	9	3	55-31	69
2.ტოტენჰემი	32	17	11	4	57-25	62
3.არსენალი	31	17	7	7	52-30	58
4.სიტი	31	16	6	9	56-32	54
5.მანჩესტერი	31	15	8	8	39-27	53
6.ვესტ ჰემი	31	13	12	6	49-37	51
7.საუთჰემპტონი	32	13	8	11	41-33	47
8.სტოკი	32	13	8	11	36-39	47
9.ლივერპული	30	12	9	9	46-41	45
10.ჩელსი	31	11	11	9	49-41	44
11.ვესტ ბრომვიჩი	31	10	10	11	30-37	40
12.ევერტონი	30	9	11	10	51-42	38
13.ბორნმუთი	32	10	8	14	38-54	38
14.უოტფორდი	31	10	7	14	30-36	37
15.სუონსი	32	9	10	13	33-42	37
16.კრ.პალასი	31	9	7	15	34-42	34
17.ნორვიჩი	32	8	7	17	35-56	31
18.სანდერლენდი	31	6	9	16	36-55	27
19.ნიუკასლი	31	6	7	18	31-58	25
20.ასტონ ვილა	32	3	7	22	22-62	16

ესპანეთი

09.04 რეალი-ეიბარი	1.2	7.0	12.0
09.04 ესპანიოლი-ატლეტიკო	4.2	3.25	1.95
09.04 სოსიედადი-ბარსელონა	5.5	4.33	1.55
09.04 ბეტისი-ლევანტე	2.05	3.4	3.6
10.04 ხიხონი-სელტა	2.8	3.4	2.45
10.04 ვალენსია-სევილია	2.4	3.5	2.8
10.04 ვილიარეალი-ხეტაფე	1.5	4.0	7.0
10.04 ბილბაო-რაიო	1.6	4.2	5.0
11.04 დეპორტივო-ლას პალმასი	2.05	3.4	3.6

ხეაღი-ეიბარი

რეალი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-სერხიო რამოსი

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მაურო

ესპანიოლი-ატლეტიკო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ანაიტც არბილია; ***დისკვ***-ერნან პერესი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო

სოსიედადი-ბარსელონა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, ოიერ ოლაზაბალი, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი; ***დისკვ***-იური ბერჩიჩე, მარკელ ბერგარა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის ვიდალი, ჯერემი მეტიუ, სანდრო რამირესი; ***დისკვ***-ლუის სუარესი

ბეტისი-ლევანტე

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი

ლევანტე: ***ტრავმ***-ტონო, ივან ლოპესი; ***დისკვ***-ვერზა, ზუაირ ფედალი

ხიხონი-სელტა

ხიხონი: ***ტრავმ***-რობერტო კანელა, ალექს მენენდეში, ბერნარდო ესპინოზა; ***დისკვ***-ალბერტო ლორა

სელტა: ***ტრავმ***-მარსელო დიასი, ნესტორ დიასი, ენდრიუ ფონტასი

ვალენსია-სევილია

ვალენსია: ***ტრავმ***-ხოსე გაია, ჟოაო კანსელო, ზაქარია ბაკალი

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი; ***დისკვ***-ხოსე ანტონიო რეიესი, მარიანო

ვილიარეალი-ხეტაფე

ვილიარეალი: ***ტრავმ***-დანიელე ბონერა, მატეო მიკაჩიო

ხეტაფე: ***ტრავმ***-ემილიანო ველასკესი; ***დისკვ***-სანტიაგო ვერინი

ბილბაო-ხაიო

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინ მერინო, აიმერიკ ლაპორტე

რაიო: ***ტრავმ***-ხოსაბედი, პატრიკ ებერტი; ***დისკვ***-ტიტო, იოელ როდრიგესი

დეპორტივო-ლას პალმასი

დეპორტივო: ***ტრავმ***-გერმან ლუქსი, რობერტ სუარესი; ***დისკვ***-ალეხანდრო არიბასი, ლუიზინიო

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო; ***დისკვ***-ვილიამ ჟოზე

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	31	24	4	3	87-26	76
2.ატლეტიკო	31	22	4	5	51-15	70
3.რეალი	31	21	6	4	89-29	69
4.ვილიარეალი	31	16	9	6	39-26	57
5.სელტა	31	14	7	10	44-52	49
6.ბილბაო	31	14	6	11	49-40	48
7.სევილია	31	13	9	9	44-37	48
8.მალაგა	31	10	10	11	30-29	40
9.ეიბარი	31	10	8	13	43-44	38
10.სოსიედადი	31	10	8	13	39-42	38
11.დეპორტივო	31	7	16	8	40-44	37
12.ლას პალმასი	31	10	6	15	34-43	36
13.ესპანიოლი	31	10	6	15	32-57	36
14.ბეტისი	31	8	10	13	28-45	34
15.ვალენსია	31	8	10	13	34-38	34
16.რაიო	31	7	10	14	43-63	31
17.გრანადა	31	7	8	16	33-57	29
18.ხეტაფე	31	7	7	17	28-54	28
19.ხიხონი	31	7	7	17	32-52	28
20.ლევანტე	31	6	7	18	28-54	25

გერმანია

09.04 ვერდერი-აუგსბურგი	2.15	3.5	3.2
09.04 შტუტგარტი-ბაიერნი	6.5	4.75	1.44
09.04 ინგოლშტადი-გლადბახი	3.1	3.3	2.4
09.04 ჰამბურგი-დარმშტადი	2.1	3.25	3.6
09.04 აინტრახტი-ჰოფენჰაიმი	2.4	3.5	2.8
09.04 ვოლფსბურგი-მაინცი	2.05	3.6	3.4
10.04 შალკე-დორტმუნდი	4.33	4.0	1.73
10.04 კიოლნი-ლევერკუზენი	3.2	3.3	2.25

ვეიხეიხი-აუგსბეიგი

ვერდერი: ***ტრავმ***-კლაუდიო პიზარო, სანტიაგო გარსია, ლეონ გუვარა, მილოშ ველიკოვიჩი, ფილიპ ბარგფრედე, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ია დონგ ვონი, პოლ ვერაე, იან მორავეკი, პიოტრ ტროხოვსკი, იან-ინგვერ კალსენ ბრაკერი

შტუტგარტი-ბაიერნი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტ რისტი, კევინ გროსკროიცი, არიანიტ ფერატი, დანიელ გინსეკი

ბაიერნი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენატია, არიენ რობენი, ჰოლგერ ბადშტურბერი, მილოშ პანტოვიჩი, ჟერომ ბოატენგი

ინგოლშტადი-გლადბახი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დანილო სოარესი, ტობიას ლეველსი

გლადბახი: ***ტრავმ***-რაფაელი, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

ჰამბეიგი-დარმშტადი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-იოან ჯურუ, ნიკოლაი მიულერი, ანდრეას ჰირცელი, იოსიპ დრმიჩი, ივიცა ოლიჩი

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი, დომინიკ შტროხ-ენგელი

აინტრახტი-ჰოფენჰაიმი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო რუსი, ნიკო რინდერკრეხტი, შტეფან რეინალტეი, სლობოდან მედოიევიჩი, ალექსანდერ მეიერი, მიიატ გაჩინოვიჩი, იოანეს ფლუმი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ტარიკ ელიონოუსი, პირმინ შვეგლერი, ჯოელინტონი

ვოლფსბეიგი-მაინცი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ კალიჯიური, ნალდო, ნიკლას ბენდტნერი, სებასტიან იუნგი

მაინცი: ***ტრავმ***-იოშინორი მუტო, დევანტე პარკერი

შალკე-დორტმუნდი

შალკე: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, ბენედიკტ ჰოვედესი, მატია ნასტასიჩი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნევენ სუბოტიჩი, ილკაი გუნდოგანი

კიოლნი-ლევერკუზენი

კიოლნი: ***ტრავმ***-მილოშ ჯოჯიჩი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ომერ ტოპრაკი, რობერტო ჰიბერტი, კირიაკოს პაპადოპულოსი, კევინ კამპლი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	28	23	3	2	66-13	72
2.დორტმუნდი	28	21	4	3	67-28	67
3.ჰერტა	28	14	6	8	37-32	48
4.გლადბახი	28	14	3	11	59-44	45
5.ლევერკუზენი	28	13	6	9	42-33	45
6.მაინცი	28	13	5	10	39-35	44
7.შალკე	28	13	5	10	39-38	44
8.ვოლფსბურგი	28	10	8	10	39-37	38
9.ინგოლშტადტი	28	9	9	10	26-31	36
10.ჰამბურგი	28	9	7	12	34-38	34
11.კიოლნი	28	8	10	10	29-35	34
12.შტუტგარტი	28	9	6	13	45-56	33
13.დარმშტადტი	28	6	11	11	30-43	29
14.ჰოფენჰაიმი	28	6	10	12	31-44	28
15.ვერდერი	28	7	7	14	38-57	28
16.აუგსბურგი	28	6	9	13	35-47	27
17.აინტრახტი	28	6	9	13	29-44	27
18.ჰანოვერი	28	5	2	21	22-52	17

იტალია

09.04 ფროზინონე-ინტერი	5.0	4.0	1.65
09.04 სასუოლო-ჯენოა	2.0	3.4	3.75
09.04 კიევო-კარპი	2.1	3.1	3.8
09.04 მილანი-იუვენტუსი	3.8	3.1	2.1
10.04 ემპოლი-ფიორენტინა	2.9	3.25	2.45
10.04 ნაპოლი-ვერონა	1.25	6.0	11.0
10.04 ტორინო-ატალანტა	1.91	3.3	4.33
10.04 პალერმო-ლაციო	3.3	3.3	2.2
11.04 რომა-ბოლონია	1.36	4.6	9.0

ფროზინონე-ინტერი

ფროზინონე: ***ტრავმ***-პაოლო სამარკო, ფედერიკო დიონისი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

სასუოლო-ჯენოა

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, სიმონე მისიროლი

ჯენოა: ***ტრავმ***-გორან პანდევი, ნიკოლას ბურდისო

კიევო-კარპი

კიევო: ***ტრავმ***-დარიო დაინელი, ფედერიკო მატიელო

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი

მილანი-იუვენტუსი

მილანი: ***ტრავმ***-იურაი კუჩკა, მბაიე ნიანგი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, მარტინ კასერესი

ემპოლი-ფიორენტინა

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხოუმა ბაბაქარი

ნაპოლი-ვეხონა

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ვერონა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფარესი

ტორინო-ატალანტა

ტორინო: ***ტრავმ***-ჩირო იმობილე, დანილო აველარი

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა

პალერმო-ლაციო

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-რიკარდო კიშნა, შტეფან დე ვრეი

რომა-ბოლონია

რომა: ***ტრავმ***-არავინ

ბოლონია: ***ტრავმ***-არჰიმედ მორლეო, მატია დესტრო

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	31	23	4	4	56-16	73
2.ნაპოლი	31	20	7	4	63-27	67
3.რომა	31	18	9	4	66-32	63
4.ფიორენტინა	31	16	8	7	51-33	56
5.ინტერი	31	16	7	8	41-30	55
6.მილანი	31	13	10	8	41-33	49
7.სასუოლო	31	12	12	7	40-34	48
8.ლაციო	31	11	9	11	39-42	42
9.კიევო	31	11	8	12	37-40	41
10.ჯენოა	31	10	7	14	36-37	37
11.ტორინო	31	9	9	13	39-43	36
12.ბოლონია	31	10	6	15	30-36	36
13.ატალანტა	31	9	9	13	30-36	36
14.ემპოლი	31	9	9	13	34-43	36
15.უდინეზე	31	9	7	15	29-46	34
16.სამპდორია	31	8	9	14	44-49	33
17.კარპი	31	6	10	15	29-49	28
18.პალერმო	31	7	7	17	29-54	28
19.ფროზინონე	31	7	6	18	29-59	27
20.ვერონა	31	3	13	15	27-51	22

საფრანგეთი

09.04 გენგამი-პსჟ	3.4	3.3	2.15
09.04 ტულუზა-ბასტია	1.8	3.4	4.75
09.04 რეიმსი-ნანტი	2.5	2.9	3.2
09.04 ანჟე-გაზელეკი	2.05	3.1	4.0
09.04 კაენი-ლორიანი	2.15	3.4	3.3
09.04 სტ.ეტიენი-ტრუა	1.28	5.5	10.0
10.04 ლილი-მონაკო	2.3	3.1	3.3
10.04 ნიცა-რენი	2.3	3.3	3.1
10.04 მარსელი-ბორდო	1.85	3.5	4.33

გენგამი-პსჟ

გენგამი: ***ტრავმ***-ბროუ ანგუა, ლიონელ მატისი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო, ნილ დე პოუ

პსჟ: ***ტრავმ***-სალვატორე სირიგუ, ხავიერ პასტორე, მარკო ვერატი

ტულუზა-ბასტია

ტულუზა: ***ტრავმ***-სომალია, ჟანდანიელ აკპა აკპრო

ბასტია: ***ტრავმ***-ლასანა კულიბალი, ჟულიან რომანი

ხეიმსი-ნანტი

რეიმსი: ***ტრავმ***-ფრენკ სინორინო, პრინს ონიაგუე, ალექს პეჟო, ფრედერიკ ბულო

ნანტი: ***ტრავმ***-კოფი ჯიჯი, ადრიანი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

ანჟე-გაზელეკი

ანჟე: ***ტრავმ***-გორან კარანოვიჩი, გუი ნგოსო, ფერებორი დორე

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

კაენი-ლორიანი

კაენი: ***ტრავმ***-ჯეფ ლუისი, ჩაკერ ალჰადური, სიამ ბენ იუსეფი, ვინსენტ ბესა, საიდი ნტიბაზონკიზა, ემანუელ იმოროუ

ლორიანი: ***ტრავმ***-რაფაელ გერეირო, ჰამადი კარამოკო, ბენჯამინ მუკანჯო, ვესლი ლაუტოა

სტ.ეტიენი-ტრუა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფრანკ ტაბანუ, მუსტაფა ბაიალ სალი, ჯონათან ბრისონი, რომან ჰამუმა, რობერტ ბერრიჩი

ტრუა: ***ტრავმ***-კრის მავინგა, იოან მარსიალი, ანელე ნგკონგკა, მუჰამადუ დაბო, მორი კონე

ლილი-მონაკო

ლილი: ***ტრავმ***-ლენი ნანგისი, სებასტიან კორჩია, მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

მონაკო: ***ტრავმ***-ჟოაო მაუტინიუ, მარიო პალასიჩი, ადამა ტრაორე

ნიცა-ხენი

ნიცა: ***ტრავმ***-რემი ვალტერი, მაჰამანე ტრაორე, მეტიუ ბოდმერი, მიშელ ლე ბიანი

რენი: ***ტრავმ***-პედრო ენრიკე, პოლ ნტეპი, ედსონ მქსე

მარსელი-ბორდო

მარსელი: ***ტრავმ***-ქარიმ რეკიკი, ბენჯამინ მენდი

ბორდო: ***ტრავმ***-კლემენტ ჩანტომე, მეტიუ დებუში, სედრიკ კარასო, ნიკოლას პალოისი, გრეგუარ სერტიჩი

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	32	25	5	2	81-18	80
2.მონაკო	32	14	13	5	47-36	55
3.ლიონი	32	15	7	10	52-34	52
4.რენი	32	13	12	7	50-39	51
5.ნიცა	32	14	8	10	47-37	50
6.სტ.ეტიენი	32	14	6	12	38-34	48
7.ლილი	32	11	13	8	29-24	46
8.კაენი	32	14	4	14	34-42	46
